



MES 1 21 0000712436



15/07/2021

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**

**სხდომის თარიღი: 01.07.2020**

**სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ**

**სხდომის დასრულების დრო: 23:58 სთ**

**საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი**

**საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:**

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. **ანზორ ბერიძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
6. **გაიოზ ფარცხალაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
7. **ელიზბარელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;

8. **ნიკატიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
9. **გიორგიდავანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. **დავითაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
11. **დიანამჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
12. **ეკატერინენაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
13. **თამარჩხიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
14. **თეონამატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
15. **ნინო ინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

**სხდომაზე დამსწრე პირები**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	შოთა კეჭერაშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

**აკრედიტაციის ექპერტები**

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ვახტანგ ბალავაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ირმა ღარიბაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	მიხეილ ბიჭია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ირაკლი ნოდია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	შალვა კვიციანი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	სიმონ ნემსაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ნინო პატარაია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ლაშა ლალიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	რომეო გალდავა	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	გიორგი გიორგობიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	ქრისტინე ჩიხლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
12	გიგი გიომიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
13	ავთანდილ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
14	ომარ კიკვიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

15	პარმენ ყიფიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
16	ლაშა ლალიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
17	თამარ გვინიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V, VI
18	გიორგი ბრეგვაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V, VI
19	არჩილ მაღალაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V, VI
20	მამუკა ბენაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V, VI
21	ნანა ფირცხელიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	V, VI
22	სოფიო უგრეხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VII, VIII
23	ზურაბ მეგრელიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VII, VIII
24	ნინო დონდოლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VII, VIII
25	გიორგი რობაქიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VII, VIII
26	ნინო ტალიკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VII, VIII

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდ აწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	თეა კორძაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I, II, III
2.	ომარი კიკვიძე		საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის დეკანი	I, II
3.	პაატა გერაძე		პროგრამის ხელმძღვანელი, საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I, II
4.	ქეთევან ცხაკაია		ასოცირებული პროფესორი	II
5.	ომარ ზივზივაძე		"ელექტრული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II
6.	გიორგი ონიანი		პროგრამის ხელმძღვანელი	III
7.	ზაზა სოხაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	III
8.	მირანდა მნაცაკანიანი		ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
9.	დავით მახვილაძე			

			ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.	
10.	ნუგზარ წერეთელი		სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი	IV, V, VI, VII, VIII
11.	მაია მშვილდაძე		სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	IV, V, VI, VII, VIII
12.	მამუკა მაისურაძე		სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.	IV, V, VI, VII, VIII
13.	ნიკოლოზ ლოლაძე		დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „მასალათმცოდნეობა“ ხელმძღვანელი.	IV, V, VI, VII, VIII
14.	ანზორ აბშილავა		სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი.	IV, V, VI, VII, VIII
15.	შალვა კელეპტრიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV, V, VI, VII, VIII
16.	ნოდარ მათიაშვილი		დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „საინჟინრო გეოდეზია“ ხელმძღვანელი	IV, V, VI, VII, VIII
17.	მარეხი სადუნიშვილი		მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „საინჟინრო გეოდეზია“ ხელმძღვანელი	IV, V, VI, VII, VIII
18.	თეიმურაზ ბარაბაძე		სტუ-ის ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი.	IV, V, VI, VII, VIII
19.	ნათელა მაისურაძე			

		მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“ ხელმძღვანელი.	IV, V, VI, VII, VIII
20	გიორგი ჭიაურელი	ასოცირებული პროფესორი.	IV, V, VI, VII, VIII
21	გიორგი დურგლიშვილი	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“ ხელმძღვანელი.	IV, V, VI, VII, VIII

აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ელექტრული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საინჟინრო გეოდეზიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საინჟინრო გეოდეზიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნავთობის და გაზის ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ნავთობის და გაზის ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

• არა

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ელექტრული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საინჟინრო გეოდეზიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საინჟინრო გეოდეზიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნავთობის და გაზის ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ნავთობის და გაზის ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

**1.პირველი საკითხი:** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მშენებლობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწვეტილება N425, 09.12.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მშენებლობა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	მშენებლობის ინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0732 მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ახალგაზრდობის გამზ. N98, ქუთაისი, 4600, საქართველო. სასწავლო კორპუსი N7, 8, 9, 10
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**  
 ✓ არა

## საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხობა

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

## პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

### ექსპერტების პოზიციის განხილვა

#### საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 10 და 12 ივნისი. ჯგუფის მოსამზადებელი შეხვედრა განხორციელდა 2021 წლის 9 ივნისს, რა დროსაც მოხდა ჯგუფის წევრებს შორის პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეჯერება. 2021 წლის 10 ივნისს ონლაინ ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. გაიმართა შეხვედრები: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; თვითშეფასების ჯგუფთან; უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; პროგრამის ხელმძღვანელთან; აკადემიურ პერსონალთან; მოწვეულ ლექტორებთან; მშენებლობის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. 12 ივნისს განხორციელდა უნივერსიტეტში ვიზიტი, ვიზიტის დროს მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება: ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, ლაბორატორიები. ვიზიტის დასასრულს დაწესებულების წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

**პირველისტანდარტი** - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეორესტანდარტი** - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მესამესტანდარტი** - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეოთხესტანდარტი** - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეხუთესტანდარტი** - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**

1. დაზუსტდეს ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში ჩასაბარებელი საგნები და შესაბამისი კომპეტენციის ზღვრები ასეთის არსებობის შემთხვევაში

2. თავისუფალი კრედიტების ბლოკიდან, სასწავლო კურსები: აკადემიური წერა, გარემოს დაცვა და შრომის უსაფრთხოება, და ტექნიკური ინგლისური ენა (გერმანული, ფრანგული, რუსული), გადატანილი უნდა იქნას ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში. და ასევე უნდა გასწორდეს სასწავლო გეგმაში კრედიტების საერთო ჯამი;
3. სასწავლო კურსები („შესავალი სპეციალობაში“, „მშენებლობის საკანონმდებლო უზრუნველყოფა“ და სხვა) შინაარსის შეცვლა საგნისთვის რელევანტური საკითხების წინა პლანზე წამოწევის მიზნით.
4. პრაქტიკულ კომპონენტზე მეტი აქცენტების გაკეთება სწავლის შედეგების სრულად მისაღწევად.
5. სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევისთვის სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდების გამრავალფეროვნება, დარგის სპეციფიკისა და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით;
6. შეფასების ფორმებისა და აქტივობების გაზრდა ზოგიერთ საგანში;
7. უშუალოდ სასწავლო პროცესში ანალიტიკური უნარების განმავითარებელ მეთოდებზე (ანალიზი და სინთეზი, სოკრატესეული, შემთხვევის ანალიზი და სხვა) მეტი ყურადღების გამახვილება.
8. უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს როგორც აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის ამაღლებასა და შენარჩუნებას, ისე შეფასების თანამედროვე მეთოდებზე, ფორმებსა და კრიტერიუმებზე ტრენინგების გაგრძელებას.
9. პროგრამის დახვეწის მიზნით შიდა ხარისხის შემოწმებისას გამოთქმული ტექნიკური და შინაარსობრივი რეკომენდაციების გათვალისწინება.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ 2019 წლის 27 აგვისტოს „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებაში შესული ცვლილების თანახმად 2020 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების ახალი წესი დამტკიცდა. დოკუმენტის თანახმად, 2020 წლიდან აბიტურიენტები სამ სავალდებულო გამოცდას აბარებენ შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ან რუსული) და ასევე მესამე გამოცდა, რომელიც დამოკიდებულია პროგრამებზე. ტექნიკურ მიმართულებებზე მესამე საგნად აბიტურიენტები აბარებენ მათემატიკას. შესაბამისად ვთვლით, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია სახელმწიფო რეგულაციის დონეზე.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, დაწესებულება აღნიშნულს იზიარებს, სასწავლო კურსები „აკადემიური წერა“, „გარემოს დაცვა და შრომის უსაფრთხოება“, „ტექნიკური ინგლისური ენა (გერმანული, ფრანგული და რუსული)“ გადატანილი იქნება ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში და პროგრამის სასწავლო გეგმა გასწორდება ტექნიკურად. რეკომენდაციის გათვალისწინებით არ იცვლება სასწავლო კურსების სტატუსი.

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება უწყვეტი პროცესია. პროგრამის სწავლის შედეგებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არის მესამე შედეგი: საპროექტო და კვლევით სამუშაოებში იყენებ საჭირო ინსტრუმენტებს და უახლეს საინფორმაციო ტექნოლოგიებს; მიმდინარე ეტაპზე შედეგის მიღწევისათვის პროგრამაში გათვალისწინებულია სასწავლო კურსების კომპლექსი, რომელიც სხვადასხვა მიმართულებებით ავითარებს



ინფორმაციული ტექნოლოგიების უნარ-ჩვევებს. უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ პროგრამის განვითარების პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების შესწავლის სრულყოფისათვის საჭიროა განხორციელდეს დამატებითი ღონისძიებები. მიმდინარე ეტაპზე განხილული რეკომენდაცია პროგრამაში მეტწილად გათვალისწინებულია და მიზანშეწონილია განხილული იქნას სტატუსით რჩევები პროგრამის განვითარებისთვის.

რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, პრაქტიკულ კომპონენტსა და კომპიუტერულ უზრუნველყოფაზე მეტი აქცენტების გაკეთება სწავლის შედეგების სრულად მისაღწევად. პასუხი - ვთვლით, რომ აღნიშნული რეკომენდაცია უშუალო კავშირშია №3 რეკომენდაციასთან. ამასთან პრაქტიკული კომპონენტი წარმოადგენს საბაკალავრო პროგრამის ორგანულ ნაწილს და სამაგისტრო დონისგან განსხვავებით ვითარდება უშუალოდ სასწავლო კომპონენტების ფარგლებში. პროგრამაში 10 კრედიტის ოდენობით არის სასწავლო და საწარმოო პრაქტიკები. რაც შეეხება დამსაქმებლების მოთხოვნებს პრაქტიკულ კომპონენტისა და პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებით, ისინი სცდება ბაკალავრიატის დონის აღწერით დადგენილ კომპეტენციებს და პროგრამაში მოთხოვნილი მოცულობით ვერ იქნება გათვალისწინებული.

რაც შეეხება მე-8 რეკომენდაციას, იქიდან გამომდინარეობს, რომ პროგრამა ცენტრში უფრო ადრე იქნა წარდგენილი დოკუმენტაციაში და ექსპერტებთან გაგზავნილი იქნა აკადემიურ პერსონალის ძველი რეზიუმეები, თუმცა უკვე განხორციელდა აღნიშნულის განახლება.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ, აღნიშნა რომ „სამშენებლო კონსტრუქციების“ წინაპირობების ნაწილში არის გარკვეული აცილება, კერძოდ წინაპირობად განსაზღვრულია მასალათა გამძლეობა, თუმცა აუცილებელია ასევე წინაპირობად განისაზღვროს „სამშენებლო მექანიკა“. აღსანიშნავია ასევე, რომ „სამშენებლო კონსტრუქციების 2“ ერთ-ერთ წინაპირობად განსაზღვრულია „გეოდეზია“, რაც სავსებით გაუგებარია.

საბჭოს წევრმა ასევე განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ „მასალათგამძლეობის“ სილაბუსი კარგად არის ჩამოყალიბებული, აუცილებელია მოხდეს კრედიტების გაზრდა. გარდა ამისა, სტუდენტისთვის რთული იქნება ერთ სემესტრში „სამშენებლო მექანიკის“ დაძლევა.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა „საშენი მასალების“ სილაბუსი და დააზუსტა თუ რა განსხვავებაა მე-3 და მე-11 სალექციო თემებს შორის. აღსანიშნავია ასევე, სილაბუსში ვხვდებით აზმესტო საშენ მასალებს, რაც საერთაშორისო დონეზე ამოღებულია ხმარებიდან. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რატომ არის მოცემული გათვალისწინებული სილაბუსში. ერთ-ერთი ლექცია ეხება ასევე სამშენებლო კირს, რაც ასევე სავარაუდოა გამოიყენება თუ არა დღეს დღეობით. მოცემული საკითხი განხილულია ლაკ-საღებავების ლექციასთან ერთად, რომელშიც საერთოდ არ სრულდება ლაბორატორიული სამუშაოები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ დააზუსტა თუ რამდენი რესპოდენტი იქნა გამოკითხული შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში. გარდა ამისა საბჭოს წევრმა ახსენა პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც გათვლილია 19 ბაკალავრის სტუდენტზე, შესაბამისად დაინტერესდა თუ რა ხდება იმ შემთხვევაში თუ პროგრამაზე გათვლილზე ნაკლები სტუდენტი ირიცხება და მზად არის თუ არა დაწესებულება ფინანსურად აღნიშნულისთვის.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააზუსტა თუ აქვს აღნიშნულ პროფესიას პროფესიული განვითარების წინარე საფეხური.

საბჭოს წევრმა დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა მე-2 რეკომენდაცია და დააზუსტა თუ რა მოიაზრებოდა მოცემულში და მოუწოდა როგორც დაწესებულების წარმომადგენლებს, ასევე ექსპერტთა ჯგუფს საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა ნინო იმნაძემ აღნიშნა „არქიტექტურის“ სასწავლო კურსი და დააზუსტა სასწავლო კურსის მიზანი და შედეგი. მნიშვნელოვანია, ასევე რომ სასწავლო კურსში გათვალისწინებული ლიტერატურა საკმაოდ მოძველებულია. სავარაუდოა ასევე თუ რამდენად პასუხობს კურსის შინაარსი მის სათაურს, კერძოდ სათაური აუცილებლად საჭიროებს დაზუსტებას. საბჭოს წევრმა ასევე მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ თუ რა დავალებებს ასრულებს სტუდენტი კურსის ფარგლებში.

საბჭოს წევრმა ასევე გამოყო „კომპიუტერული გრაფიკის“ სასწავლო კურსი და დააზუსტა სასწავლო კურსი პრაქტიკული ხასიათისაა თუ ლაბორატორიული. აღსანიშნავია ასევე „სამშენებლო ხაზვის“ სასწავლო კურსები, კერძოდ „სამშენებლო ხაზვა 1“ -ს შინაარსი გასაგები და რელევანტურია, თუმცა „სამშენებლო ხაზვა 2“-ში კვლავ გრაფიკის საკითხებია განხილული. მოცემულ სასწავლო კურსებთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა ასევე დააზუსტა აღნიშნული ლაბორატორიული თუ პრაქტიკული.

მნიშვნელოვანია ასევე „სამშენებლო გეოდეზიის“ სასწავლო კურსი, კერძოდ, სილაბუსში გათვალისწინებულია ლექცია, პრაქტიკული და ლაბორატორიული მუშაობა და სავლელე პრაქტიკა. სილაბუსში თემატიკები შინაარსობრივად კარგად არის განსაზღვრული თუმცა რამდენად წარმომადგენს აღნიშნული ლაბორატორიულ საკითხებს.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, „მშენებლობის საკანონმდებლო უზრუნველყოფის“ სასწავლო კურსი და განმარტა, რომ სასწავლო კურსში საკითხები იმგვარად არის ჩაშლილი, რომ ძირითადად მოცემულია ბიზნესის საკითხები. შესაბამისად მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის დაზუსტებისკენ.

#### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ თავისუფალი კრედიტების ბლოკში აღმოჩენილი იქნა ტექნიკური უზუსტობა, კერძოდ სასწავლო კურსები, აკადემიური წერა, გარემოს დაცვა და შრომის უსაფრთხოება, და ტექნიკური ინგლისური ენა (გერმანული, ფრანგული, რუსული), არის სავალდებულო კურსები და არა არჩევითი, შესაბამისად ეს კურსები გადატანილი უნდა იქნას ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში.

#### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმება საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით. ერთ ბლოკში გაერთიანებული იყო როგორც აღნიშნული სამი საგანი, ასევე თავისუფალი კომპონენტებიც, რადგან 15 კრედიტი ფარგლებში სტუდენტი ირჩევს ნებისმიერ კურსს უნივერსიტეტის სხვადასხვა პროგრამებიდან. შესაბამისად აღნიშნული უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ორ სხვადასხვა ბლოკად. პირველი ბლოკი უნდა ყოფილიყო თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები, მითითებული უნდა ყოფილიყო აღნიშნული სამი კურსი და მეორე ბლოკად უნდა განსაზღვრულიყო თავისუფალი კომპონენტები.

პროგრამის ხელმძღვანელმა „სამშენებლო კონსტრუქციების“ წინაპირობებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება ეთანხმება საბჭოს წევრთა რეკომენდაციას. შესაბამისად ინსტიტუცია აუცილებლად განახორციელებს აუცილებელ ცვლილებებს. ხოლო რაც შეეხება „გეოდეზიას“, როგორც „სამშენებლო კონსტრუქციები 2“-ს წინაპირობას, აღნიშნული ცალსახად წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს.

რაც შეეხება „მასალათა გამძლეობას“, სასწავლო კურსში ძირითადად განხილულია ნაგებობათა სტატიკა, შესაბამისად დაწესებულება მიიჩნევს, რომ 5 კრედიტი აღნიშნული სასწავლო კურსისთვის რელევანტურია.

მნიშვნელოვანია ასევე „საშენი მასალების“ სასწავლო კურსის საკითხი, კერძოდ დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუცია განსაზღვრულ საკითხებს აუცილებლად განიხილავს. პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე განმარტა, რომ იქიდან გამომდინარე, რომ ტრადიციული მასალები ხშირად გამოიყენება ბაკალავრის საფეხურზე ხდება მათი დეტალური შესწავლა. რაც შეეხება აზბესტს, პრაქტიკა აჩვენებს, რომ აზბესტის ნაკეთობების ჯერ კიდევ გამოიყენება, ამიტომ მოხდა მისი სილაბუსში გათვალისწინება.

ლაკ-საღებავებთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მოცემული არ მოიაზრებს ლაბორატორიულ მუშაობას.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ საშენი მასალების ის ნაწილი, რომელიც მოიცავს მინასა და პლასტმასს განხილულია სასწავლო კურსში „საშენი მასალები 3“.

რაც შეეხება შრომის ბაზრის კვლევას, მნიშვნელოვანია რომ ქუთაისის მასშტაბით არი 10-15 ორგანიზაცია რომელიც ამ კუთხით მუშაობს. კვლევის ფარგლებში გამოკითხული იქნა დასავლეთი რეგიონის 30-35 ორგანიზაცია.

ბიუჯეტის საკითხთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროგრამას აქვს მხარდაჭერა უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა ასევე „არქიტექტურის“, სასწავლო კურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებისთვის მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდება.

რაც შეეხება „კომპიუტერულ გრაფიკას“ მისი სწავლება სრულიად მიმდინარეობს კომპიუტერულ კლასებში. იმ მიზნით რომ მოხდეს ჯგუფების გაყოფა და ინდივიდუალური მუშაობა კომპიუტერულ კლასებში აღნიშნული განისაზღვრა ლაბორატორიულ სამუშაოდ.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე განმარტა, რომ პროგრამით გათვალისწინებულია როგორც საინჟინრო ასევე კომპიუტერული გრაფიკა. შესაბამისად ისწავლება როგორც ხელით ხაზვა, ასევე მისი კომპიუტერული ანალოგი. სამშენებლო ხაზვას მსგავსად არის დაყოფილი. „სამშენებლო ხაზვა 1“-ში ისწავლება ხელით ხაზვა, ხოლო „სამშენებლო ხაზვა 2“ მოიცავს სამშენებლო ხაზვის შესწავლას კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ზოგიერთ სილაბუსში კომპეტენციები გაწერილია პროფესიული სწავლების დონეზე. შესაბამისად მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ დააზუსტა იძლევა თუ არა შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა რაოდენობა რელევანტურ სურათს.

ექსპერტმა განმარტა, რომ შენიშვნა აბსოლუტურად რელევანტურია, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული საკითხები ცალსახად არ გადის პროფესიული განათლების დონეზე. ბაკალავრის დონეზე მოცემული საკითხები სავსებით მისაღებია.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სრულიად ეთანხმება საბჭოს წევრთა მოსაზრებას აზბესტთან დაკავშირებით, თუმცა როდესაც ხდება დემონტაჟი შესაძლებელია, რომ ის მასალა, რომლითაც არის აშენებული ნაგებობა მოიცავდეს მოცემულ მასალებს. შესაბამისად, ურიგო არ არის აღნიშნული საკითხების სილაბუსში გათვალისწინება. სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

**დაწყების დრო: 15:10**

**დასრულების დრო: 16:20**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

**საბჭოს გადაწყვეტილებით კომპონენტების შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან განისაზღვრა შემდეგნაირად:**

საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ 1.2, კომპონენტის შეფასება ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“, 2.1 და 2.2 კომპონენტები ნაცვლად „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისია მოთხოვნებთან“, ხოლო 2.3 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან“

**აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:**

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
2. სასწავლო კურსების („შესავალი სპეციალობაში“, „მშენებლობის საკანონმდებლო უზრუნველყოფა“ და სხვა) შინაარსის შეცვლა საგნისთვის რელევანტური საკითხების წინა პლანზე წამოწევის მიზნით.
3. რეკომენდირებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების „არქიტექტურა“, „მასალათგამძლეობა“, „საშენი მასალები“ „სამშენებლო მექანიკა 1,2“, „სამშენებლო ხაზვა 2“ შინაარსი, მოცულობა (გაზრდის მიმართულებით) და შესაბამისობაში მოვიდეს კურსების სათაური და შინაარსი სწავლების საფეხურთან და პროგრამის სწავლის შედეგებთან.
4. პრაქტიკულ კომპონენტზე მეტი აქცენტების გაკეთება სწავლის შედეგების სრულად მისაღწევად.

1. **5.** სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევისთვის სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდების დაზუსტება, გამრავალფეროვნება, დარგის სპეციფიკისა და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით;
2. შეფასების ფორმებისა და აქტივობების გაზრდა ზოგიერთ საგანში;
  
1. უშუალოდ სასწავლო პროცესში ანალიტიკური უნარების განმავითარებელ მეთოდებზე (ანალიზი და სინთეზი, შემთხვევის ანალიზი და სხვა) მეტი ყურადღების გამახვილება.
2. **8.** უნივერსიტეტმა უზრუნველყოს როგორც აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის ამაღლებასა და შენარჩუნება, ისე შეფასების თანამედროვე მეთოდებზე, ფორმებსა და კრიტერიუმებზე ტრენინგების ორგანიზება
  
1. **9.** რეკომენდირებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.

## რჩევები

1. სასურველია, პროგრამის სასწავლო გეგმის "თავისუფალი კრედიტების" ბლოკის სახელწოდება შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მე-6 მუხლის მე-3, 5 და 6 პუნქტებთან.
2. **2.** სასწავლო პროგრამაში გაძლიერდეს შენობა-ნაგებობათა შემადგენელი ნაწილების შესახებ საკითხები
3. ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე მეტი აქცენტების გაკეთება;
4. **4.** საგნის „შესავალი სპეციალობაში“ დასათაურების ფორმულირების შეცვლა;
  
1. **5.** სასწავლო კურსებსი „საშენი მასალები“, „არქიტექტურა“ სავალდებულო ლიტერატურაში უახლესი ნაშრომების ასახვა;
  
1. **6.** სასურველია არჩევითი საგნების უფრო მეტად გაზრდა;
  
1. **7.** სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი იყოს ჯერ ასახსნელი თემა სათაურის სახით, შემდეგ კი - მისი მოკლე სტრუქტურა;
  
1. ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალის შემცირება ისე, რომ ბაკალავრიატის სტუდენტის მიერ მათი გაცნობა რეალისტური და მიღწევადი იყოს;

2. 9. სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული ტექნიკური ხარვეზების გასწორება

10. პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე მუშაობის გაგრძელება.

11. სწავლება-სწავლის მეთოდების დასათაურებასთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზების გასწორება-დაზუსტება.

12. სასურველია, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, მკაფიოდ გაიწეროს პროფესორისა და მოწვეული პერსონალის რაოდენობისა და დატვირთვის განსაზღვრის პირობების შესახებ ინფორმაცია.

13. სასურველია, გადაიხედოს სილაბუსებში გაწერილი სასწავლო რესურსი და ზოგიერთი მათგანი ჩანაცვლდეს უახლესი ლიტერატურით.

14. კარგი იქნება პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დამსაქმებელთა კმაყოფილების ინდექსის კვლევა, ასევე, მათი გამოკითხვების ინტენსივობის გაზრდა

15. პროფესორ-მასწავლებელთა გრადაციის განსაზღვრა, მათი კატეგორიების, უფლებამოსილებების, სამეცნიერო აქტივობებისა და შრომითი ურთიერთობების ინდივიდუალური ხასიათის გათვალისწინებით;

16. კარგი იქნება, შიდა კვლევების ანალიზი პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ გრანტების მოძიებისა და საერთაშორისო პროექტებში მათი ჩართულობის გააქტიურების მექანიზმების მოძიება-შემუშავებისთვის.

#### გადაწყვეტილება:

„უმალღესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3<sup>1</sup> პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3<sup>1</sup> პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

2.მეორე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ელექტრული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ
---	---

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ელექტრული ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, გადაწვეტილება N34, 16.09.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ელექტრული ინჟინერია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბაკალავრი ელექტრულ და ელექტრონულ ინჟინერიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719 - ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ახალგაზდობის გამზ. N98, ქუთაისი, 4600, საქართველო. სასწავლო კორპუსი N7, N8
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

### საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

### საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

### მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

### ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 11-12 ივნისს. ვიზიტი მოიცავდა ინტერვიუებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ

პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის შენობა, სადაც ხორციელდება პროგრამა, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა და სხვა ინფრასტრუქტურა. შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ელექტრული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

**პირველსტანდარტი** \_ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეორესტანდარტი** \_ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მესამესტანდარტი** \_ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეოთხესტანდარტი** \_ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეხუთესტანდარტი** \_ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**

1. მწყობრში მოვიდეს ლაბორატორიები ბიოსამედიცინო ელექტრონიკის და ელექტრული და ელექტრონული სპეციალური დანიშნულების ხელსაწყოთა მიმართულებით.
2. რეკომენდებულია, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, სტუდენტთა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა და მიღებული შედეგების ანალიზი წლების განმავლობაში უწყვეტად ხორციელდებოდეს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდანაც შემაჯამებელი წლიური ანგარიშები ყოველწლიურად იქნას წარმოდგენილი.
3. პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზნით, აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნათა მიხედვით, რეკომენდებულია პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამის „ელექტრული ინჟინერია“ კონცენტრაციებში „ბიოსამედიცინო ელექტრონიკა“ და „ელექტრული და ელექტრონული სპეციალური დანიშნულების ხელსაწყოები“ სასწავლო კურსებით გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაოები სრულად არის უზრუნველყოფილი პარტნიორი ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით, რადგან საკუთარი ლაბორატორიული ბაზის შექმნა დაკავშირებულია ძალზედ ძვირადღირებული სამედიცინო და ელექტრონული აპარატურის შეძენასთან. აღნიშნული დაწესებულებამ დააფიქსირა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიუს დროს.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, - რეკომენდაციას არ ვეთანხმებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს EP-QA 1.2 საგანმანათლებლო პროგრამების



შეფასების პროცედურა, რომელიც ითვალისწინებს აწსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული დაინტერესებული პირების გამოკითხვას, კერძოდ, ყოველი სემესტრის ბოლოს ხდება სტუდენტებისა და ლექტორ-მასწავლებლების, ორ წელიწადში ერთხელ დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა. დაწესებულება იცავს აღნიშნულ პროცედურაში გაწერილ ვადებს. გამოკითხვებით მიღებული შედეგები და ანალიზის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, აკადემიური პერსონალის მიერ სწავლების პოლიტიკის გადახედვას და სრულყოფას, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთას და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ME-QA -მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკაში ME-QA-3.1 თვითშეფასებისა და ანგარიშების პროცედურით განსაზღვრული აქვს აწსუ-ს სამსახურების მიერ ყოველწლიური ანგარიშების წარმოდგენის ვადები (ყოველი წლის სექტემბერი). სამსახურის ყოველწლიურ ანგარიშში აისახება უნივერსიტეტში გაწეულ საქმიანობებთან ერთად ფაკულტეტების, მათ შორის საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ წარდგენილი ანგარიშები.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ აღნიშნა „მექანიკის საწყისების“ სასწავლო კურსი, რომელიც ძირითადად მოიცავს სტატიკისა და კინემატიკის საკითხებს. შესაბამისად მნიშვნელოვანია სათაური განისაზღვროს კურსის შინაარსის შესაბამისად. გარდა ამისა, იმ პირობებში რომ ამ კურსის შესწავლის დროს სტუდენტს არ ექნება ფიზიკა ნასწავლი არის თუ არა კურსის სრულყოფილად შესწავლის შესაძლებლობა.

რაც შეეხება „ჰიდრო და სხვა განახლებადი ენერჯის საფუძვლებს“, კურსის ფარგლებში განხილულია ჰიდრო დინამიკის საკითხები, შესაბამისად ასევე უმჯობესი იქნებოდა სათაურის ცვლილება.

საბჭოს წევრი, თამარ ჩხეიძე დაინტერესდა, რომ ის საკითხი, რომ პროგრამა არ არის დადარებული საერთაშორისო ანალოგებთან უქმნის თუ არა მას პრობლემას.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ დააზუსტა თუ რამდენი რესპოდენტი იქნა გამოკითხული შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში და რამდენად რელევანტურია აღნიშნული კვლევა.

საბჭოს წევრმა, ეკატერინა ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ სილაბუსების უმეტესობას ერთი და იმავე კრედიტი აქვს და ასევე სწავლების მეთოდების კუთხითაც ბევრ რამეში იდენტურია, შესაბამისად მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა ლაბორატორიულ მოწყობასთან დაკავშირებული რეკომენდაცია და დაინტერესდა თუ რა ნაბიჯები იდგმევა დაწესებულების მხრიდან ლაბორატორიული რესურსის განსავითარებლად და დასახვეწად. გარდა ამისა საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტებს განემარტათ თუ რა გახდა აღნიშნული რეკომენდაციის განსაზღვრის საფუძველი.

საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა, თუ სად ხდება სტუდენტების პრაქტიკული მომზადება და როგორ უწყობს აღნიშნული სტუდენტების შემდგომ დასაქმებას ხელს.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ გამოყო აკადემიური წესი საკითხი და აღნიშნა, რომ მოცემულ კომპონენტს პროგრამა არ მოიცავს.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ენერჯეტიკისა და რეკომუნიკაციის მიმართულებით დაწესებულებას აქვს ლაბორატორიული ბაზები. გარდა ამისა, ცალკე ოთახი არის მოწყობილი ენერჯეტიკის მიმართულებით. რაც შეეხება ბიოსამედიცინო და სპეციალური მოწყობის მიმართულებებს, აღნიშნული მსგავსად საჭიროებს მოწყობას, რათა სტუდენტი არ დადგეს არჩევანის წინაშე. მოცემული ლაბორატორიების მოწესრიგების გარეშე პროგრამას გაუჭირდება შედეგებზე გასვლა.

ანალოგიურ პროგრამასთან დადარების საკითხთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ ინსტიტუციის მხრიდან არ იყო წარმოდგენილი ბენჩმარკინგი, რაც გულისხმობს პროგრამის

დადარებას უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას. თანდართული იყო მხოლოდ იმ უსდ-ების პროგრამების ჩამონათვალი, რომელიც მსგავს პროგრამას ახორციელებს, მაგრამ არ იყო გაკეთებული დადარება და შესაბამისი ანალიზი. ამიტომაც, სასურველია პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკადემიური წერა 5 კრედიტის ოდენობით მე-3 სემესტრში არის გათვალისწინებული, როგორც თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსი.

პროგრამა შეიცავს 4 ისეთ არჩევით კონცენტრაციებს, როგორიცაა: ელექტროენერგეტიკა (30 კრედიტი), ტელეკომუნიკაცია (30 კრედიტი), ბიოსამედიცინო ელექტრონიკა (30 კრედიტი), ელექტრული და ელექტრონული სპეციალური დანიშნულების ხელსაწყოები (30 კრედიტი). თითოეული კონცენტრაცია, ერთ-ერთი სასწავლო კურსის ფარგლებში შეიცავს სპეციალური პროექტის მომზადებას, რომელიც სტუდენტს საშუალებას მისცემს გამოავლინოს მიღებული ცოდნა და უნარები, ასევე დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარი.

აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ იქნა გამოთქმული რეკომენდაციები მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ქართულენოვანი ლიტერატურის განახლების შესახებ. აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით, 2012-2017 წლებში შესაძლებელი გახდა ახალი ლაბორატორიული მოწყობილობის შეძენა. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის ლაბორატორიული ბაზა საგრძნობლად გაუმჯობესდა ისეთი ახალი მოწყობილობით, როგორიცაა სასწავლო-ლაბორატორიული მოწყობილობის კომპლექტები: ერთმანქანიანი ელექტრული სისტემის მოდელი, ელექტროტექნიკა და ელექტრონიკის საფუძვლები, მზის ფოტოელექტრული ელექტროსადგურის მოდელი, ქარის ელექტროგენერატორის ნატურალური მოდელი. გაუმჯობესდა საბიბლიოთეკო ფონდი. შეძენილი იქნა რამდენიმე ათეული დასახელების ქართულენოვანი წიგნები საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული წიგნები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

რაც შეეხება ბიუჯეტს, აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში მუდმივად კომპლექტდება მინიმუმ ორი ჯგუფი, იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამა არის საკმაოდ მოთხოვნადი.

რაც შეეხება „მექანიკის საწყისების სასწავლო კურსს“, რომლის ფარგლებშიც ისწავლება ძირითადად სტატიკა. აღსანიშნავია, რომ სტუდენტებინ პირველ კურსზე ეუფლებიან მათემატიკას იმ დონეზე, რომ თავისუფლად შესაძლებელია „მექანიკის საწყისების“ ათვისება.

მნიშვნელოვანია ასევე პრაქტიკის საკითხი, კერძოდ დაწესებულებამ განახორციელა პრაქტიკის სისტემის ცვლილება, რაც გულისხმობს პრაქტიკის განხორციელებას მთელი სემესტრის განმავლობაში, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს, რომ 15 კვირის განმავლობაში პრაქტიკა გაიარონ სხვადასხვა ობიექტებზე.

### **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 17:05**

**დასრულების დრო: 17:48**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ელექტრული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი. 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით)

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

## **საბჭოს გადაწყვეტილებით კომპონენტების შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან განისაზღვრა შემდეგნაირად:**

საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ 1.2, 2.3, 4.4 კომპონენტი და მე-4 სტანდარტის შეფასება ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“, ხოლო 5.1, 5.3 კომპონენტი და მე-5 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან”

## **აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:**

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
2. რეკომენდირებულია დაზუსტდეს კომპეტენციების რუკა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების შესაბამისობის დადგენას.
  1. რეკომენდირებულია ზოგიერთ სასწავლო კურსში დაზუსტდეს სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის შინაარსთან.
  2. რეკომენდირებულია მწყობრში მოვიდეს ლაბორატორიები ბიოსამედიცინო ელექტრონიკის და ელექტრული და ელექტრონული სპეციალური დანიშნულების ხელსაწყოთა მიმართულებით და შემუშავდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების დეტალური სამოქმედო გეგმა ( გრძელვადიანი და მოკლევადიანი) უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული ფინანსური რესურსებით.

## **რჩევები**

1. სასურველია ყოველი სემესტრის დასაწყისში ფაკულტეტმა შეადგინოს აკადემიურ პერსონალის სტუდენტებთან კონსულტაციების განრიგი დეპარტამენტების მიხედვით
2. სასურველია სტუდენტთა მეტი ჩართულობა საერთაშორისო და გაცვლით პროგრამებში.
3. პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზნით, აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნათა მიხედვით, სასურველია პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.
4. სასურველია ინსტიტუციაში დაინერგოს განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

## **გადაწყვეტილება:**

„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3<sup>1</sup> პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3<sup>1</sup> პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ელექტრული ინჟინერიის " საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**3.მესამე საკითხი:** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მათემატიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწვეტილება N66, 23.09.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მათემატიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	მათემატიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0541 - მათემატიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის ქუჩა 59, ქუთაისი, სასწავლო კორპუსი N4, 4600 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

## **მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა**

### **ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 14 ივნისს, ონლაინ რეჟიმში ზუმის პლატფორმის გამოყენებით. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა, მათ შორის: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებელთან. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება განხორციელდა ასევე დისტანციურად, ზუმის პლატფორმის საშუალებით. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოების/სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობა. დაწესებულებამ თავის მხრივ უზრუნველყო მშვიდ, აკადემიურ გარემოში ვიზიტის პროცესის განხორციელება.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

**პირველსტანდარტი** - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეორესტანდარტი** - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მესამესტანდარტი** - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეოთხესტანდარტი** - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეხუთესტანდარტი** - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**

1. რეკომენდებულია „რიცხვითი ანალიზის“ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობად დამატებით განისაზღვროს სასწავლო კურსი „წრფივი ალგებრა და ანალიზური გეომეტრია“;
2. რეკომენდებულია „საკურსო ნაშრომისთვის“ განისაზღვროს დაშვების წინაპირობა.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისნტიტუცია სრულიად იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციებს და შესაბამისად, უკვე განხორციელდა აუცილებელის ცვლილებები.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ დააზუსტა, თუ რა გახდა იმის მიზეზი, რომ კვლევის ფარგლებში გამოიკითხა მხოლოდ 8 სკოლა. რაც შეეხება ბიუჯეტს, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მოცემული ისე უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ არ ჩნდებოდეს ექვი სტუდენტთა კონტიგენტის სიმცირის შემთხვევაში პროგრამის ფინანსური მდგრადობის.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ აღნიშნა, რომ პროგრამა საკმაოდ მაღალი დონისაა.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისა და შეფასებებისთვის. აღსანიშნავია, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი პროფილის მიხედვით საკმაოდ დიდია, კერძოდ 66%. დაწესებულება ასევე მუდმივ კომუნიკაციის რეჟიმშია სავარაუდო დამსაქმებლებთან.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 18:00**

**დასრულების დრო: 18:08**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

**რეკომენდაციები:**

1. რეკომენდებულია „რიცხვითი ანალიზის“ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობად დამატებით განისაზღვროს სასწავლო კურსი „წრფივი ალგებრა და ანალიზური გეომეტრია“
2. რეკომენდებულია „საკურსო ნაშრომისთვის“ განისაზღვროს დაშვების წინაპირობა.

**რჩევები:**

1. სასწავლო კურსში „ფუნქციონალური ანალიზი 1“ - ტერმინი „სივრცის შევსება“ სასურველია შეიცვალოს ტერმინით „სივრცის გასრულება“;
2. სასურველია, სასწავლო კურსებში „ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა 1, 2“ პრაქტიკულ მეცადინეობებზე ამოცანების ამოსახსნელად განხილულ იქნას ექსელის (Excel) სტატისტიკური პაკეტი.3.3. 3. სასურველია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.

**გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3<sup>1</sup> პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3<sup>1</sup> პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის „მათემატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

**4. მეოთხე საკითხი:** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასალათმცოდნეობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, გადაწყვეტილება N513, 28.09.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	მასალათმცოდნეობის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719 - ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	55
14	განხორციელების ადგილი	მერაბ კოსტავას N 69, II სასწავლო კორპუსი, თბილისი, საქართველო 0171
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ კი

თვითაცილება განაცხადეს- ნინო იმნაძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, დავით კაპანაძემ

საფუძელი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

## მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

### ექსპერტების პოზიციის განხილვა

#### საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ აღწინა, რომ 2021 წლის 28 და 29 აპრილს განხორციელდა აკრედიტაციის ჰიბრიდული ფორმატის ვიზიტი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. 29 აპრილს განხორციელდა პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება, გასაუბრება კი გაიმართა დისტანციურად. სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტის მასალათმცოდნეობის მიმართულების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს და სტაჟირების განმახორციელებლებს. ვიზიტის ფარგლებში მოხდა აგრეთვე პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება (სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები). ვიზიტის დასასრულს საექსპერტო ჯგუფს გამოეყო სამუშაო დრო ვიზიტის მსვლელობისას გამოვლენილი ძირითადი მიგნებების ჩამოსაყალიბებლად და დაწესებულების წარმომადგენლებისათვის გასაცნობად.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

**პირველისტანდარტი** - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეორესტანდარტი** - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მესამესტანდარტი** - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეოთხესტანდარტი** - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეხუთესტანდარტი** - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**

1. დაზუსტდეს სწავლის შედეგის მიღწევის გზა: „პროგნოზირებს წინასწარ დაგეგმილი თვისებების მქონე ახალი მასალების შექმნის სავარაუდო ტექნოლოგიებს“;
2. მკაფიოდ ჩამოყალიბდეს დოქტორანტურაში ჩასარიცხავად რეკომენდაციის მიცემის ან უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი საფაკულტეტო დროებით კომისიასთან გასაუბრებისას;
3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესში (პ.3.7), დაზუსტდეს დისერტაციის საჯარო დაცვა დოქტორანტურის დებულების მუხლი 14-ის შესაბამისად.
4. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში მიენიშნოს ის ფართო სფერო(ები) კვალიფიკაციათა ჩარჩოდან, რომელშიც აპლიკანტს უნდა ჰქონდეს მიღებული განათლება (მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ 2.6ი აკადემიური ხარისხი);
5. ყოველი სემესტრის დასაწყისში ფაკულტეტმა შეადგენს აკადემიურ პერსონალის სტუდენტებთან კონსულტაციების განრიგი დეპარტამენტების მიხედვით და განათავსოს ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.
6. განხორციელდეს ცვლილება დოქტორანტურის დებულებაში სადოქტორო პროგრამის მოცულობასთან დაკავშირებით;



7. ჩასწორდეს ტექნიკური ხასიათის უზუსტობა თვითშეფასების ანგარიშში „სტუდენტმა პროფესიული უსაფრთხოების დოქტორის კვალიფიკაციის მინიჭებისთვის უნდა დააგროვოს 180 კრედიტი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და ძირითადი კვალიფიკაციისთვის საჭირო შედეგების მიღწევას“.
8. „სადოქტორო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესში“ დაკონკრეტდეს სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და 6 ქულათა გრადაცია და გაუქმდეს ჩანაწერი „საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს 120 კრედიტს“

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე და მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საქმე გვაქვს თვითშეფასების ანგარიშში არსებულ ტექნიკურ ხარვეზთან. პროგრამაში მსგავსი ჩანაწერი არ არსებობს. ამიტომ რეკომენდაციას ცალსახად შენიშვნის კატეგორია აქვს.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების მე-7 მუხლში დეტალურადაა გაწერილი დოქტორანტურაში ჩარიცხვასთან დაკავშირებული საკითხები.

მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებმა წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში მითითებულია გასაუბრება დროებით საფაკულტეტო კომისიასთან, რომლის ამოცანაა დაადგინოს დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების მსურველის კომპეტენტურობების შესაბამისობა პროგრამასთან და შეაფასოს კანდიდატის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ათვისების პერსპექტივა.

რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების მე-14 მუხლში დეტალურადაა გაწერილი დოქტორანტურაში ჩარიცხვასთან დაკავშირებული საკითხები. რეკომენდაცია შეეხება დებულებაში ნახსენებ სადისერტაციო საბჭოს და სადისერტაციო კოლეგიას. სადისერტაციო კოლეგია წარმოადგენს სადისერტაციო საბჭოს ერთჯერადად (კონკრეტული დაცვისათვის) შექმნილ ორგანოს. უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია ერთი წლის განმავლობაში სადისერტაციო საბჭოს ხელმეორედ წარუდგინოს ნაშრომი.

რაც შეეხება მე-7 და მე-8 რეკომენდაციას, უნივერსიტეტმა აკადემიური საბჭოს 2021 წლის 26 თებერვლის №01-05-04/30 დადგენილებით „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ“ დაადგინა: ა) საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტი განისაზღვროს არაუმეტეს 60 კრედიტით; ბ) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხანგრძლივობა განისაზღვროს 3 წლით. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „მასალათმცოდნეობა“ სრულად აკმაყოფილებს მიღებულ დადგენილებას, რაც ნათლად ჩანს პროგრამიდან.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ დააზუსტა სადოქტორო ნაშრომების საკითხი, კერძოს მოხდა თუ არა შემთხვევითობის პრინციპით მათი არჩევა და ზოგადად რა მდგომარეობაა ნაშრომებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ დასკვნაში, პროგრამის შესახებ ინფორმაციაში მითითებულია, რომ აღნიშნული პროგრამა არის ინჟინერია და საინჟინრო საქმე 0719, ხოლო შემდეგ თავად აღწერილობაში, მოცემულია რომ პროგრამის კვალიფიკაცია არი 0715 მექანიკ

ადა ლითონი საქმე. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რომელი არის პროგრამის სწორი კვალიფიკაცია.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ დააზუსტა შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში გამოკითხულ რესპოდენტთა ვინაიდან და თუ რამდენად რელევანტურია 10 რესპოდენტის გამოკითხვის ფარგლებში შრომის ბაზრის კვლევა. რაც შეეხება პროგრამის ბიუჯეტს, აღნიშნული არ იძლევა წარმოდგენას პროგრამის ფინანსურ მდგრადობაზე.

სადისერტაციო ნაშრომებთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ლიტერატურის უდიდესი ნაწილი არის რუსული და ქართული, ხოლო ძალიან მცირე ნაწილი ინგლისური. გარდა ამისა, ნაშრომებში მოცემულია ძველი ინფორმაცია და წყაროები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, ექსპერტთა მიერ განსაზღვრული პირველი და მე-7 რეკომენდაციები და დააზუსტა თუ რამდენად წარმოადგენენ აღნიშნული საკითხები რეკომენდაციას. გარდა ამისა საბჭოს წევრმა დააზუსტა, თუ რამდენად მიღწევადი, გაზომვადი და რელევანტურია პროგრამის სწავლის შედეგები, კონკრეტულად კი აღნიშნა მე-8 სწავლის შედეგი.

საბჭოს წევრმა თეონა მატარაძემ აღნიშნა სასწავლო კურსის „კვლევის მეთოდები მეტალურგიაში“ და განმარტა, რომ შეფასების ნაწილში არ ფიგურირებს პრაქტიკული უნარჩვევების შეფასება. შესაბამისად საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ როგორ ხდება ლაბორატორიული ნაწილის შედეგების შეფასება.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ აღნიშნა, „რკინა-ნახშირბადის შენადნობების“ სასწავლო კურსი და დააზუსტა თუ რა არის მოცემულ საგანში ინოვაციური. გარდა ამისა აღსანიშნავია ასევე „ლაზერული შედეგების“ სასწავლო კურსი, სადაც ლიტერატურაში მითითებულია ძირითადად ლინკები.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ აღნიშნა, რომ ლიტერატურის საკითხი 2.1 კომპონენტში რჩევად არის განსაზღვრული, შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამდენად ატარებს აღნიშნული რჩევის საკითხს. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა 3.2 კომპონენტთან არსებული რჩევა, სადოქტორო ნაშრომის პრე-რეკვიზიტებთან დაკავშირებით და მოუწოდა ექსპერტებს საკითხის განმარტებისკენ.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა სადისერტაციო ნაშრომებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ მოთხოვილი იქნა ნაშრომები, რომლებიც შემდგომ მოწოდებული იქნა ცენტრის მიერ. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტთა მიერ მოხდა ნაშრომების გაცნობა, რის შედეგადაც დადებითად შეფასდა მათი ხარისხი. რაც შეეხება ლიტერატურას, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე სავსებით მისაღებია შედარებით ძველი ლიტერატურის გამოყენება.

რაც შეეხება ნაშრომების პრე-რეკვიზიტს, იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში გამოქვეყნების საკითხს, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული საკითხი წარმოადგენს საზომს იმისა, თუ რამდენად ახალია ცოდნა და რამდენად არის მიღწეული სწავლის შედეგი. მოცემული საკითხი რჩევად განისაზღვრა ვინაიდან საკითხი არის დარგობრივი საბჭოს გადასაწყვეტი.

მნიშვნელოვანია ასევე სწავლის შედეგების საკითხი, კერძოდ ექსპერტმა აღნიშნა, რომ დარგის საკმაოდ ძველი, მაგრამ სწრაფად განვითარებადია. დოქტორანტურის საფეხურზე, მთავარი ძირითადი სწავლის შედეგი არის ახალი ცოდნის შექმნა, რაც იზომება იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიების მეშვეობით.

ექსპერტმა კვალიფიკაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უმჯობესია აღნიშნული განმარტებული იყოს ცენტრის მიერ.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის კვალიფიკაცია არის 0719, აღნიშნული არის მოცემული ასევე თვითშეფასებაშიც.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, ასევე რომ პროგრამით გათვალისწინებული „კვლევის მეთოდები ფიზიკაში“, რომელიც მოიცავს ლექციასა და პრაქტიკულ ლაბორატორიულ მუშაობას, რომელსაც აქვს თავისი შეფასების სისტემა.

პროგრამის ხელმძღვანელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომადგილი აქვს ტექნიკურ ხარვეზს. პროგრამის ხელმძღვანელი, განმახორციელებელი პერსონალი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, მუდმივი მონიტორინგის ფარგლებში, კიდევ ერთხელ გადახედავს შესაბამის დანართს. რაც შეეხება მე-8 სწავლის შედეგს, აღნიშნული გულისხმობს ნებისმიერ მასშტაბში, სფეროში მიმართულებების განვითარების პერსპექტივებს.

რაც შეეხება „რკინა-ნახშირბადის“ სასწავლო კურსს, აღსანიშნავია, რომ თავად სისტემა უძველესია, თუმცა სილაბუსით გათვალისწინებულია ახალი მიგნებები და საუბარი ახალი კლასის მასალების შექმნაზე.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 19:21**

**დასრულების დრო: 19:58**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენითა და ერთ წელში და 6 თვეში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

**საბჭოს გადაწყვეტილებით კომპონენტების შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან განისაზღვრა შემდეგნაირად:**

საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ 2.3, 2.4, 3.3, 4.4 კომპონენტის, 1 და მე-3 სტანდარტების შეფასება ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“, ხოლო 1.2 კომპონენტი ნაცვლად, „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“

**აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:**

1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში მიენიშნოს ის სფერო(ები) კვალიფიკაციათა ჩარჩოდან, რომელშიც აპლიკანტს უნდა ჰქონდეს მიღებული განათლება (მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი
2. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის "რკინა-ნახშირბადის ინოვაციური შენადნობები და მათი მიღების ტექნოლოგიები" სათაური შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან
3. განახლდეს სასწავლო კურსში "ლაზერული შედუღება" ძირითადი ლიტერატურა.
4. რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობად, განისაზღვროს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ( Scopus-ისა და Web of Science ) ინდექსირებულ იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში სტატიის/პუბლიკაციის გამოქვეყნება.
5. რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომების შესრულების დროს გამოყენებულ იქნას უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურა.

6. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესში (პ.3.7), დაზუსტდეს დისერტაციის საჯარო დაცვა დოქტორანტურის დებულების მუხლი 14-ის შესაბამისად.
7. ყოველი სემესტრის დასაწყისში ფაკულტეტმა შეადგენს აკადემიურ პერსონალის სტუდენტებთან კონსულტაციების განრიგი დეპარტამენტების მიხედვით და უზრუნველყოფილ იქნას ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.
8. რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ დოქტორანტების მიერ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, ავტორიტეტული წყაროების ინტეგრირება.
9. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.
10. რეკომენდირებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.
11. ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და ანალიზი მოხდეს უშუალოდ პროგრამასთან დაკავშირებული მხარეების (დოქტორანტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, შრომის ბაზრის ანალიზი) გამოკითხვის შედეგად და გაიზარდოს მათი ჩართულობა პროგრამის მოდიფიცირების პროცესში.

### **რჩევები:**

1. სასურველია სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იქნას არჩევითი სასწავლო კურსი დაკავშირებული მათემატიკური მოდელირების საკითხებთან მასალათმცოდნეობაში;
2. სასურველია განხორციელდეს ცვლილებები სასწავლო კურსების სილაბუსებში „კვლევის მეთოდები ფიზიკაში“ და „მასალების დამუშავება“ კომპოზიციური და ნაწილ მასალების ღრმად შესწავლისათვის;
3. სასწავლო კურსში "კვლევის მეთოდები ფიზიკაში" შეფასების კრიტერიუმები შეიცვალოს ისე, რომ შესაძლებელი იყოს სტუდენტის კვლევის პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასება.
4. სასურველია დოქტორანტებმა დისერტაციის დაცვამდე გამოაქვეყნონ საკვლევ თემასთან დაკავშირებული ერთი სტატია მაინც, საერთაშორისო იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში.
5. სასურველია მოხდეს პროგრამის ხარისხის შეფასება პროგრამის მდგრადობის კუთხით
6. სასურველია პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს პერიოდულად, როგორც დარგობრივი ორგანიზაციების, ისე უცხოეთის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ჩართულობით.
7. სასურველია გაიზარდოს გამოკითხვაში მონაწილე პირთა რაოდენობა და მეტი ინფორმაციის მიღების მიზნით გადაიხედოს კითხვების ფორმულირება.

### **გადაწყვეტილება:**

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3<sup>1</sup> პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3<sup>1</sup> პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის მე - 2 და მე - 5 პუნქტების, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთ წელში და 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენითა მონიტორინგის განხორციელების პირობით.

**5.მეხუთე საკითხი:** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საინჟინრო გეოდეზიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საინჟინრო გეოდეზია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, გადაწვეტილება N511, 28.09.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საინჟინრო გეოდეზია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50
14	განხორციელების ადგილი	მერაბ კოსტავას N 77, თბილისი სასწავლო კორპუსი N3, საქართველო 0160
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ კი

თვითაცილება განაცხადეს დავით კაპანაძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა და ნინო იმნაძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

## **მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა**

### **ექსპერტების პოზიციის განხილვა**

#### **საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „საინჟინრო გეოდეზია“ (შემდგომში - პროგრამა) სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების (MES 9 21 0000468319, 20.05.2021) საფუძველზე, მიმდინარე წლის 31 მაისს და 01 ივნისს დისტანციურ რეჟიმში Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით (01 ივნისს პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება მოხდა კომბინირებული ფორმით - ადგილზე ვიზიტით და ვიდეო კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით). აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის განრიგის (დღის წესრიგის) მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფის სრული შემადგენლობით. ექსპერტებმა შეისწავლეს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები (თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები, ასევე ვიზიტის განმავლობაში ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები), გაესაუბრნენ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვა პირებს. ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყო ყველა პირობა იმისათვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრული ინფორმაცია აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო ვიზიტის შედეგად მიღებული წინასწარი მიგნებები.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საინჟინრო გეოდეზიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

**პირველისტანდარტი** - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეორესტანდარტი** - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მესამესტანდარტი** - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეოთხესტანდარტი** - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეხუთესტანდარტი** - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**

1. პროგრამით გათვალისწინებული (მისანიჭებელი) კვალიფიკაციის ქართულენოვანი ფორმულირება უნდა მოვიდეს შესაბამისობაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან.
2. დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგების და პროგრამის სასწავლო კურსის კომპონენტების შედეგები ურთიერთშესაბამისობის რუკაში (მაგ., „პროფესორის ასისტენტობის“ მიმართებაში).
3. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და შემდგომი დაწინაურების პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა.
4. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სამეცნიერო პროექტებში აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩართულობა.
5. მომდევნო წლების ბიუჯეტში დეტალურად იყოს გაწერილი აკადემიური/მოწვეული პერსონალის განვითარებისათვის ხარჯები.
6. მომდევნო წლის ბიუჯეტში უნდა გაიწეროს დოქტორანტურის კვლევის დაფინანსების ხარჯები.
7. კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცვლილებების შეტანა უნივერსიტეტში მოქმედ (დოქტორანტურის პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის მოცულობასთან (კრედიტების რაოდენობასთან), სადისერტაციო ნაშრომის შეფასებასთან,) დაკავშირებულ დოკუმენტებში.
8. პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესი უნდა მიმდინარეობდეს დაწესებულების რეგულაციებით გათვალისწინებული მიდგომებისა და მექანიზმების სრული გამოყენებით, განსაკუთრებით პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის სისტემატური და კომპლექსური შეფასება-ანალიზის მიმართულებით.
9. ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით პერიოდულად უნდა მოხდეს ა) პროგრამის ყველა ასპექტის (მათ შორის, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის) კომპლექსური შეფასება, პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის დადგენა, წლების მიხედვით პროგრესის შესწავლა-ანალიზი (მაგ., პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, განვითარების შესაძლებლობები და რისკები, იდენტიფიცირებული და შეფასებული პრობლემური/გასაუმჯობესებელი ასპექტები, სხვ.); ბ) გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების ერთიან დოკუმენტში ასახვა და დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა.
10. პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, ინფორმაციის ანალიზი, საჭიროების შემთხვევაში პროგრამაში ცვლილებების დაგეგმვა და განხორციელება თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე და მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მოცემული რეკომენდაცია თავისი არსით სასარგებლო რჩევის ხასიათს ატარებს. საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის დეპარტამენტში მუდმივად მიმდინარეობს აკადემიური პერსონალის გაახალგაზრდავების პოლიტიკა და დაკომპლექტებულია ახალგაზრდა კადრებით. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კონკურსები ტარდება ოთხ წელიწადში ერთხელ არა პროგრამების, არამედ საგანთა ჯგუფების მიხედვით. 2017 წლის ბოლო ჩატარებული კონკურსის მიხედვით საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის დეპარტამენტში ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე გამოცხადებულ 3 საკონკურსო ადგილიდან ორი ვაკანტური თანამდებობა დაკავებულ იქნა დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ. რაც შეეხება ასისტენტის თანამდებობას, ამ მიმართულებით კონკურსი არ გამოცხადებულა, რადგან ზემოაღნიშნულ თანამდებობაზე

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ დოქტორანტს და 2017 წლის მონაცემებით დეპარტამენტს არ ჰყავდა დოქტორანტები. ვინაიდან დღეის მდგომარეობით დეპარტამენტში მუშაობს 4 დოქტორანტი, ახალი კონკურსი ჩატარდება 2021 წლის აგვისტოში და საკონკურსოდ გამოყოფილი იქნება, როგორც ასისტენტ-პროფესორების, ასევე ასისტენტების საკონკურსო ადგილები.

რაც შეეხება მე-9 რეკომენდაციას, აკრედიტაციის ამ ქვესტანდარტთან მიმართებაში დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებებსა და შეფასებებს, უნივერსიტეტი იზიარებს ნაწილობრივ, რადგან რეკომენდაციები, თავისი შინაარსით, ცალსახად სავალდებულოა ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის. თუმცა, აღსანიშნავია რეკომენდაციები ხელახალი აკრედიტაციის განაცხადის წარდგენამდე, ნაწილობრივ დაკმაყოფილებული ჰქონდა უნივერსიტეტს, რაც ასახულია თვითშეფასებაში (წლების მიხედვით პროგრამის პროგრესია, პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები).

#### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს პირველი და მეორე რეკომენდაციის დაზუსტებისკენ.

მნიშვნელოვანია ასევე დისერტაციების საკითხი, კერძოდ ერთ-ერთ დისერტაციაში მითითებული იყო 49 წყარო, ხოლო მეორეში 22, თანაც მხოლოდ რუსულ და ქართულენოვანი. ერთ-ერთ დისერტაციაში კი მითითებული იყო 120 წყარო, როგორც ქართული და რუსული, ასევე ინგლისური.

რაც შეეხება შრომის ბაზრის კვლევას, გამოკითხულია მხოლოდ 5 რესპოდენტი, შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს მათი ვინაობის დაზუსტებისკენ. გარდა ამისა აღსანიშნავია ბიუჯეტის საკითხი, კერძოდ მნიშვნელოვანია დაზუსტდეს თუ რა სახსრებით დაფინანსდება პროგრამა.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა მოუწოდა ექსპერტებს განეხილათ ნაშრომები კვლევის აქტუალობასთან მიმართებით. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა აღნიშნა ექსპერტთა მიერ განსაზღვრული მე-4 რეკომენდაცია და მოუწოდა ექსპერტებს საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ აღნიშნა, „გეოინფორმაციული ცვლილებებისა და მდგრადი განვითარების“ სასწავლო კურსი და დააზუსტა თუ რა პრინციპით გადაწყდა ამ ორი საკითხის გაერთიანება. გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ კომპონენტად განსაზღვრულია რეფერატი, შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ როგორ ხდება კურსთან დაკავშირებით პრაქტიკული უნარის გამომუშავების შეფასება.

#### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, პირველ და მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამის ფარგლებში ფორმულირება იყო შემდეგნაირი- „დოქტორი საინჟინრო გეოდეზიასა და გეოინფორმატიკაში“ თუმცა უნდა იყოს განსაზღვრული „საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის დოქტორი“. საკითხი თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე ვერ იქნებოა რჩევა, ამიტომ განისაზღვრა რეკომენდაციის სახით.

რაც შეეხება 4.2 კომპონენტს, უფრო კორექტული იქნებოდა ჩანაწერი, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ჩართულობის შესაძლებლობა, ვინაიდან იძულების წესით ჩართულობა შეუძლებელია.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა სადოქტორო ნაშრომებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ექსპერტები გაეცნენ 3 დისერტაციას. ნაშრომებთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესია თემის სპეციფიკა. ვხვდებით ნაშრომებს რომლებიც საკმაოდ მოცულობითია და განხილულია საერთაშორისო პუბლიკაციებიც.

#### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**



დაწესებულების წარმომადგენელმა აკადემიური პერსონალის ჩართულობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალის მუდმივად ჩართულია სხვადასხვა სახის აქტივობებში. ისინი ხშირად იღებენ მონაწილეობას რუსთაველის სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსებშიც.

რაც შეეხება ბიუჯეტის ნაწილს, პროგრამის განვითარებას უზრუნველყოფს პროგრამის ცენტრალური ბიუჯეტი.

პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა სადისერტაციო ნაშრომებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სამი დისერტაციიდან ორი წარმოადგენს ნოვაციას ქართულ რეალობაში, რადგან წარმოადგენენ პირველ ნაშრომებს რომლებიც დაცული იქნა გეოგრაფიულ საინფორმაციო სისტემებთან მიმართებაში. ნაშრომში, სადაც მითითებულია 49 ლიტერატურა, ყველაზე ძველი ლიტერატურა არის 2000 წლის. ასევე არსი დისერტაცია, რომელშიც გამოყენებული 120 წყარო, ამ წყაროებიდან უმეტესი კი არის ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი ლიტერატურა. რაც შეეხება მე-3 ნაშრომს, აღნიშნული ეხება ენგურჰესის უსაფრთხო ექსპლუატაციას.

რაც შეეხება „გეოინფორმაციასა და მდგრად განვითარებას“ სასწავლო კურსი წარმოადგენს ამერიკული უნივერსიტეტების ანალოგს.

მნიშვნელოვანია, ასევე შრომის ბაზრის კვლევის საკითხი. მნიშვნელოვანია რომ მთავარი დამსაქმებელი არის თავად ტექნიკური უნივერსიტეტი. კვლევის ფარგლებში გამოკითხული იქნა საჯარო რეესტრი, საკადასტრო კერძო კომპანია, გეოინფორმაციული სისტემები, აქსისი და ემ კვადრატი.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ მოუწოდა ექსპერტებს ნაშრომების შინაარსობრივად შეფასებისკენ. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა დააზუსტა დაწესებულებასთან კვლევების განხორციელების მასშტაბი და მათი გამოქვეყნების საკითხი.

პროგრამის ხელმძღვანელმა მდგრადი განვითარების სილაბუსთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული მოიცავს რეფერატის შემუშავებას, ხოლო პერიოდულად შეფასება ხდება ღია კითხვების მეშვეობით. შესაბამისად შეფასება მოიცავს ორ კომპონენტს, პრაქტიკულ რეფერატს, რომელიც კომპიუტერზე კეთდება და ღია კითხვებს.

ექსპერტმა სადისერტაციო ნაშრომებთან დაკავშირებით განმარტა, რომ არცერთი დისერტაციის ნაშრომის არ არის გამოქვეყნებული მაღალ რეიტინგულ ჟურნალში, რომელიც დარგისთვის არის მიღებული. საკითხი არ არის გასაკვირი, ვინაიდან გეოდეზიის ნაშრომების საკმაოდ რთულია. ამასთან გეოდეზიის ტემის უმრავლესობა ეწევა პრაქტიკულ საქმიანობას, შესაბამისად, იშვიათია გეოდეზისტი დაკავებული იყოს მეცნიერული კვლევებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ ნაშრომები გამოქვეყნებული იქნა ნეაპოლის და კიევის საერთაშორისო კონფერენციების ფარგლებში. ნაშრომები კი ინდექსირებულია სკოპუსში.

## **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 21:06**

**დასრულების დრო: 21:32**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საინჟინრო გეოდეზიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, ერთი წლის თავდე ანგარიშის წარმოდგენითა და ერთ წელში და 6 თვეში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

**საბჭოს გადაწყვეტილებით კომპონენტების შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან განისაზღვრა შემდეგნაირად:**

საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ 2.4, 2.6, 3.2, კომპონენტები და მე-2 სტანდარტის შეფასება ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

**აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:**

1. პროგრამით გათვალისწინებული (მისანიჭებელი) კვალიფიკაციის ქართულენოვანი ფორმულირება უნდა მოვიდეს შესაბამისობაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან
2. დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგების და პროგრამის სასწავლო კურსის კომპონენტების შედეგები ურთიერთშესაბამისობის რუკაში (მაგ., „პროფესორის ასისტენტობის“ მიმართებაში).
3. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან
4. რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობად, განისაზღვროს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ( Scopus-ისა და Web of Science ) ინდექსირებულ იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში სტატიის/პუბლიკაციის გამოქვეყნება.
5. რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომების შესრულების დროს გამოყენებულ იქნას უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურა
6. რეკომენდირებულია ზოგიერთ კურსში შეფასების მეოთხედები შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის შედეგებთან. მაგ.კურსში "მდგრადი განვითარება და გეოგრაფიულ -ინფორმაციული სისტემები" შეფასების სისტემა შეიცვალოს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს კურსის ფარგლებში სტუდენტის მიერ გამოიმუშავებული პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასება.
7. რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ დოქტორანტების მიერ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, ავტორიტეტული წყაროების ინტეგრირება.
8. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და შემდგომი დაწინაურების პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა.
9. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სამეცნიერო პროექტებში აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩართულობის შესაძლებლობა.
10. მომდევნო წლების ბიუჯეტში დეტალურად იყოს გაწერილი აკადემიური/მოწვეული პერსონალის განვითარებისათვის ხარჯები;
11. მომდევნო წლის ბიუჯეტში გაიწეროს დოქტორანტურის კვლევის დაფინანსების ხარჯები.
12. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.
13. კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცვლილებების შეტანა უნივერსიტეტში მოქმედ დოქტორანტურის პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის მოცულობასთან (კრედიტების რაოდენობასთან), სადისერტაციო ნაშრომის შეფასებასთან, დაკავშირებულ დოკუმენტებში.
14. პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესი უნდა მიმდინარეობდეს დაწესებულების რეგულაციებით გათვალისწინებული მიდგომებისა და მექანიზმების სრული გამოყენებით, განსაკუთრებით პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის სისტემატური და კომპლექსური შეფასება-ანალიზის მიმართულებით
15. ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით პერიოდულად უნდა მოხდეს ა) პროგრამის ყველა ასპექტის (მათ შორის, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის) კომპლექსური შეფასება, პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის დადგენა, წლების მიხედვით პროგრესის შესწავლა-ანალიზი (მაგ., პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, განვითარების შესაძლებლობები და რისკები, იდენტიფიცირებული და შეფასებული პრობლემური/გასაუმჯობესებელი ასპექტები, სხვ.); ბ)

გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების ერთიან დოკუმენტში ასახვა და დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა.

**რჩევები:**

1. სასურველია გაიზარდოს პროგრამის ინტერნაციონალიზაცია (გაცვლითი პროგრამები, უცხოელი სპეციალისტების ჩართულობა).
2. სასურველია გამოინახოს დოქტორანტთა ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართვის ხელშემწყობი დამატებითი ფინანსური ინსტრუმენტები.
3. სასურველია გაიზარდოს დოქტორანტის ჩართულობა საერთაშორისო კვლევით საგრანტო პროექტებში და გაძლიერდეს ფინანსური ინსტრუმენტი დოქტორანტთა კვლევითი საქმიანობის განხორციელებისა და პუბლიკაციების მომზადების ხელშემწყობის მიზნით.
4. მიზანშეწონილია სისტემატურად (განსაზღვრული პერიოდულობით) განხორციელდეს პროგრამის გარე შეფასება დარგობრივი ორგანიზაციების/დამოუკიდებელი დარგის სპეციალისტების/უცხოეთის უსდ-ების მიერ.
5. სასურველია გაიზარდოს დოქტორანტის ჩართულობა საერთაშორისო კვლევით საგრანტო პროექტებში და გაძლიერდეს ფინანსური ინსტრუმენტი დოქტორანტთა კვლევითი საქმიანობის განხორციელების და სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადების ხელშემწყობის მიზნით.

**გადაწყვეტილება:**

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3<sup>1</sup> პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3<sup>1</sup> პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის მე - 2, მე - 5 პუნქტების, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საინჟინრო გეოდეზიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთ წელში და 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენითა და მონიტორინგის განხორციელების პირობით.

**6.მეექვსე:** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საინჟინრო გეოდეზიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საინჟინრო გეოდეზია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-

3	სტატუსი	
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, გადაწყვეტილება N485, 28.09.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საინჟინრო გეოდეზია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	მერაბ კოსტავას N 77, თბილისის სასწავლო კორპუსი N3, საქართველო 0160
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

### საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

### საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადეს- ნინო იმნაძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, დავით კაპანაძემ

საფუძელი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

### მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

#### ექსპერტების პოზიციის განხილვა

#### საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „საინჟინრო გეოდეზია“ (შემდგომში - პროგრამა) სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების (MES 9 21 0000468319, 20.05.2021) საფუძველზე, მიმდინარე წლის 31 მაისს და 01 ივნისს დისტანციურ რეჟიმში Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით (01 ივნისს პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება მოხდა კომბინირებული ფორმით - ადგილზე ვიზიტით და ვიდეო

კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით). აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის განრიგის (დღის წესრიგის) მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფის სრული შემადგენლობით. ექსპერტებმა შეისწავლეს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები (თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები, ასევე ვიზიტის განმავლობაში ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები), გაესაუბრნენ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვა პირებს. ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყო ყველა პირობა იმისათვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრული ინფორმაცია აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო ვიზიტის შედეგად მიღებული წინასწარი მიგნებები.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საინჟინრო გეოდეზიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

**პირველისტანდარტი** - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეორესტანდარტი** - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მესამესტანდარტი** - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეოთხესტანდარტი** - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეხუთესტანდარტი** - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**

1. პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსების შეფასების სისტემაში პრაქტიკული კომპონენტების (პრაქტიკული/ლაბორატორიული სამუშაოების) შეფასებებში მინიმალური ზღვარის განსაზღვრა.
2. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და შემდგომი დაწინაურების პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა.
3. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სამეცნიერო პროექტებში აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩართულობა.
4. მომდევნო წლების ბიუჯეტში დეტალურად უნდა იყოს გაწერილი აკადემიური/მოწვეული პერსონალის და პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის განვითარებისათვის ხარჯები.
5. კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცვლილებების შეტანა უნივერსიტეტში მოქმედ (საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვასთან დაკავშირებულ) დოკუმენტში, კერძოდ - მაგისტრატურის დებულებაში.
6. პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესი უნდა მიმდინარეობდეს დაწესებულების რეგულაციებით გათვალისწინებული მიდგომებისა და მექანიზმების სრული გამოყენებით, განსაკუთრებით პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის სისტემატური და კომპლექსური შეფასება-ანალიზის მიმართულებით.
7. ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის ყველა ასპექტის (მათ შორის, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის უსაფრთხოოდ გამოყენების) კომპლექსური, მრავალმხრივი შეფასება, პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის დადგენა, წლების მიხედვით პროგრესის შესწავლა-ანალიზი დაწესებულებაში არსებული მიდგომისა და

მექანიზმების (მაგ., SWOT-ანალიზი, PDCA-პრინციპი და სხვ.) სრული გამოყენებით, რომლებსაც თავად დაწესებულება ხარისხის უზრუნველყოფის და კონტროლის ეფექტიან მექანიზმად მიიჩნევს. ასევე, გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების ერთიან დოკუმენტში ასახვა და დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა.

- პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, ინფორმაციის ანალიზი, საჭიროების შემთხვევაში პროგ- 6 რამაში ცვლილებების დაგეგმვა და განხორციელება თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სასწავლო კურსები შედგენილია ამ დარგის აღიარებული სპეციალისტების მიერ, პროგრამის საჭიროებებისა და მრავალწლიანი გამოცდილების გათვალისწინებით, აკადემიური თავისუფლების სრული აღიარებით. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, სასწავლო კურსის ავტორები, სილაბუსში შეფასების კომპონენტების და მეთოდების განსაზღვრისას, ასევე სასწავლო კურსების შუალედური შეფასებისთვის ზღვრული ქულების განსაზღვრისას, რა თქმა უნდა ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას, მისი ყველა შემადგენელის გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში, შეფასების ეტაპები დაყოფილია კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტის მოთხოვნის შესაბამისად. ტექნიკურ უნივერსიტეტში უნიფიცირებულად დადგენილი ამ საერთო დასახელების მქონე შეფასების ეტაპების ჩარჩოში, სასწავლო კურსის ავტორ(ებ)ი თავად განსაზღვრავენ, თითოეული ეტაპის ფარგლებში შეფასებისათვის გამოსაყენებელ ოპტიმალურ კომპონენტ(ებ)ს და მეთოდ(ებ)ს, რაც ასახულია შესაბამისი წესით დამტკიცებულ სილაბუსებში. ხოლო სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირი, სილაბუსის შესაბამისად ახორციელებს შეფასებას.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, მოცემული რეკომენდაცია თავისი არსით სასარგებლო რჩევის ხასიათს ატარებს. საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის დეპარტამენტში მუდმივად მიმდინარეობს აკადემიური პერსონალის გაახალგაზრდავების პოლიტიკა და დაკომპლექტებულია ახალგაზრდა კადრებით. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კონკურსები ტარდება ოთხ წელიწადში ერთხელ არა პროგრამების, არამედ საგანთა ჯგუფების მიხედვით. 2017 წლის ბოლო ჩატარებული კონკურსის მიხედვით საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის დეპარტამენტში ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე გამოცხადებულ 3 საკონკურსო ადგილიდან ორი ვაკანტური თანამდებობა დაკავებულ იქნა დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ. რაც შეეხება ასისტენტის თანამდებობას, ამ მიმართულებით კონკურსი არ გამოცხადებულა, რადგან ზემოაღნიშნულ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ დოქტორანტს და 2017 წლის მონაცემებით დეპარტამენტს არ ჰყავდა დოქტორანტები. ვინაიდან დღეის მდგომარეობით დეპარტამენტში მუშაობს 4 დოქტორანტი ახალი კონკურსი ჩატარდება 2021 წლის აგვისტოში და საკონკურსოდ გამოყოფილი იქნება, როგორც ასისტენტ-პროფესორების, ასევე ასისტენტების საკონკურსო ადგილები.

მე-5 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წარმომადგენლები, ვიზიტის ფარგლებში, დარწმუნდებოდნენ, რომ უნივერსიტეტი აქტიურად ახორციელებს მიზანმიმართულ საქმიანობას კორპორაციული შესაბამისობის თვალსაზრისით, რაც თავის მხრივ, მოიცავს როგორც სტუ-ის სამართლებრივი აქტებისა და საქმიანობის შესაბამისობას დაწესებულ სტანდარტებთან, ისე თავსებადობას მოქმედ კანონმდებლობასთან.

რაც შეეხება მე-7 რეკომენდაციას, აკრედიტაციის ამ ქვესტანდარტთან მიმართებაში დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებებსა და შეფასებებს, უნივერსიტეტი იზიარებს ნაწილობრივ, რადგან რეკომენდაციები, თავისი შინაარსით, ცალსახად სავალდებულოა ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის. თუმცა, აღსანიშნავია რეკომენდაციები ხელახალი აკრედიტაციის განაცხადის წარდგენამდე, ნაწილობრივ დაკმაყოფილებული ჰქონდა უნივერსიტეტს, რაც ასახულია თვითშეფასებაში (წლების მიხედვით პროგრამის პროგრესია, პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები.)

რაც შეეხება ბიუჯეტის საკითხს, მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის ბიუჯეტი ფინანსურად მდგრადია თუმცა საჭიროებს მეტ სიცხადეს რაც აუცილებლად იქნება გათვალისწინებული დაწესებულების მიერ.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა გიორგი ლაღანიძემ კიდევ ერთხელ აღნიშნა ბიუჯეტის საკითხი, რომელის საჭიროებს მეტ სიცხადეს. რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომებს, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული წარმოადგენს კვლევას, თუმცა ნაშრომებში მოცემულია 3-4 წყარო, თუმცა ზოგ შემთხვევაში ვხვდებით 29 წყაროსაც. ერთი ნაშრომი გამოყენებული ლიტერატურის გარეშეა წარმოდგენილი, რაც სავარაუდოდ ტენიკურ ხარვეზს წარმოადგენს, თუმცა საყურადღებოა თუ რამდენად რელევანტურია სამაგისტრო ნაშრომი 3 წყაროთი.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ შეფასების პროცესში არის მეთოდების არარელევანტურობა. საბჭოს წევრა ასევე აღნიშნა მე-2 რეკომენდაცია და მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს მისი განმარტებისკენ.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ნაშრომში მითითებული წყაროები არ ასახავს თავად ნაშრომის შინაარსს, რადგან მაგისტრანტებს გაცილებით მეტი ნაშრომის განხილვა უწევთ, თუმცა აღნიშნული არ არის მითითებული.

რაც შეეხება კადრების მოძიების საკითხს, სამართლიანი და ეფექტიანი დასაქმების პოლიტიკის გატარების ფარგლებში სტუ-ის შიდა რეგულაციები უზუნველყოფენ პერსონალის სამსახურში მიღების (არჩევა/დანიშვნა) გამჭვირვალე და ობიექტურ პროცედურას, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პოზიციებზე კვალიფიციური კადრების მოზიდვასა და დასაქმებას. ვაკანტურ თანამდებობაზე არჩევნების ჩატარების შესახებ ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ამასთან, სტუ-ს მკაფიოდ აქვს განსაზღვრული აკადემიური /სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციების შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები სამუშაოს აღწერილობების, ფუნქციებისა და მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით. სტუ-ს აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ საკონკურსო პირობებში მოთხოვნები დაბალანსებულია და გამორიცხავს პერსონალის მიერ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის გარეშე არჩევნებში წარმატებას და აკადემიური თანამდებობების დაკავების შესაძლებლობას

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 21:06**

**დასრულების დრო: 21:32**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საინჟინრო გეოდეზიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენითა და ერთ წელში და 6 თვეში მონიტორინგის განხორციელების პირობით **კენჭისყრის შედეგი:**

**საბჭოს გადაწყვეტილებით კომპონენტების შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან განისაზღვრა შემდეგნაირად:**

საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ 1.2 2.4, 3.2 კომპონენტები და მე-2 სტანდარტის შეფასება ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

**აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:**

1. პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსების შეფასების სისტემაში პრაქტიკული კომპონენტების (პრაქტიკული/ლაბორატორიული სამუშაოების) შეფასებებში მინიმალური ზღვარის განსაზღვრა.
2. რეკომენდირებულია ზოგიერთ კურსში შეფასების მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის შედეგებთან.
3. რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ მაგისტრანტების მიერ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, ავტორიტეტული წყაროების ინტეგრირება.
4. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და შემდგომი დაწინაურების პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა.
5. უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სამეცნიერო პროექტებში აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩართულობა
6. მომდევნო წლების ბიუჯეტში დეტალურად უნდა იყოს გაწერილი აკადემიური/მოწვეული პერსონალის და პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის განვითარებისათვის ხარჯები.
7. კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცვლილებების შეტანა უნივერსიტეტში მოქმედ (საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვასთან დაკავშირებულ) დოკუმენტებში, კერძოდ - მაგისტრატურის დებულებაში.
8. პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესი უნდა მიმდინარეობდეს დაწესებულების რეგულაციებით გათვალისწინებული მიდგომებისა და მექანიზმების სრული გამოყენებით, განსაკუთრებით პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის სისტემატური და კომპლექსური შეფასება-ანალიზის მიმართულებით
9. ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის ყველა ასპექტის (მათ შორის, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის უსაფრთხოდ გამოყენების) კომპლექსური, მრავალმხრივი შეფასება, პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის დადგენა, წლების მიხედვით პროგრესის შესწავლა-ანალიზი დაწესებულებაში არსებული მიდგომისა და მექანიზმების (მაგ., SWOT-ანალიზი, PDCA-პრინციპი და სხვ.) სრული გამოყენებით, რომლებსაც თავად დაწესებულება ხარისხის უზრუნველყოფის და კონტროლის ეფექტიან მექანიზმად მიიჩნევს. ასევე, გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების ერთიან დოკუმენტში ასახვა და დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა.
10. პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, ინფორმაციის ანალიზი, საჭიროების შემთხვევაში პროგრამაში ცვლილებების დაგეგმვა და განხორციელება თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

**რჩევები:**

1. სასურველია პროგრამის სასწავლო გეგმაში უფრო ნათლად გამოიკვეთოს არჩევითი და სავალდებულო სასწავლო კურსები.



2. სასურველია დამატებითი ლიტერატურას დაემატოს თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურა.
3. სასურველია გაიზარდოს პროგრამის ინტერნაციონალიზაცია (გაცვლითი პროგრამები, უცხოელი სპეციალისტების ჩართულობა).
4. საჭიროა სამაგისტრო ნაშრომების შინაარსის მეტი კონტროლი.
5. სასურველია მაგისტრანტთა მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა საერთაშორისო ონლაინ-პროგრამებს, გაცვლით კურსებში თუ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მიმართულებით.
6. სასურველია სამომავლოდ პრაქტიკული კომპონენტის კიდევ უფრო მეტად გაძლიერების ხელშეწყობა, რათა მაგისტრანტებს გაუჩნდეთ სტაჟირებისა და დასაქმების პროგრამებში მონაწილეობის კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა.
7. სასურველია შემუშავდეს მექანიზმები, რათა პროგრამის მაგისტრანტებისათვის აქტუალური გახდეს შესაფასებლად წარდგენილი თითოეული სასწავლო კურსისა და ლექტორის სასწავლო საქმიანობის შეფასების კითხვარის შევსება.
8. სასურველია უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით მატერიალური რესურსების მუდმივად განვითარება-სრულყოფა, ლაბორატორიების ინფრასტრუქტურის განახლება
9. მიზანშეწონილია სისტემატურად (განსაზღვრული პერიოდულობით) განხორციელდეს პროგრამის გარე შეფასება დარგობრივი ორგანიზაციების/დამოუკიდებელი დარგის სპეციალისტების/უცხოეთის უსდ-ების მიერ.

**გადაწყვეტილება:**

უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3<sup>1</sup> პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3<sup>1</sup> პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის მე - 2, მე - 5 პუნქტების, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საინჟინრო გეოდეზიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთ წელში და 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენითა და მონიტორინგის განხორციელების პირობით

**7.მეშვიდე საკითხი:** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნავთობის და გაზის ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	
4		

	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, გადაწყვეტილება N504, 28.09.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0724 სამთო საქმე და მოპოვება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	მერაბ კოსტავას ქუჩა N72 თბილისი, მესამე სასწავლო კორპუსი, 0160 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 20 მაისის N MES 8 21 0000465159 ბრძანებით 2021 წლის 2-3 ივნისს განხორციელდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საექსპერტო შეფასება. პროგრამის შეფასება ქვეყანაში არსებული COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებით, განხორციელდა ნაწილობრივ დისტანციურად. კერძოდ, 2 ივნისს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა, სტუ-ში ვიზიტის ფარგლებში, დაათვალიერეს დაწესებულების მატერიალური რესურსი (სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ასევე ცენტრალური და ფაკულტეტის ბიბლიოთეკა. 2 და 3 ივნისს შეფასება კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული

საშუალებების, კერძოდ, ონლაინ პლატფორმა - zoom-ის გამოყენებით განხორციელდა. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი წინასწარ გაეცნო სააკრედიტაციო მასალას, ხოლო დაწესებულებაში შეფასების მიმდინარეობის დროს, ექსპერტები შეხვდნენ პროგრამაში ჩართულ მხარეებს.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნავთობის და გაზის ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

**პირველსტანდარტი** - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეორესტანდარტი** - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მესამესტანდარტი** - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეოთხესტანდარტი** - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეხუთესტანდარტი** - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**

1. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა აკადემიური წერის სტანდარტების შესახებ სასწავლო კომპონენტი გაითვალისწინოს სავალდებულო კომპონენტთა შორის, რათა სტუდენტებს მისცეს სამაგისტრო ნაშრომის კვალიფიციურ დონეზე შესრულების ცოდნა და უნარები.

2. მიზანშეწონილია, რომ პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტების კატეგორიზაცია ან უფრო მკაფიოდ განხორციელდეს, რომლის მიხედვითაც ცხადი იქნება სტუდენტთათვის სავალდებულო და არჩევითი საგნების თაობაზე ინფორმაცია, ან პროგრამის წარმოდგენილ რედაქციაში ჩაემატოს განმარტება საგნების იმგვარი დაჯგუფების შესახებ, როგორც ეს ამჟამად არის მოცემული.

3. სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს სასწავლო მასალების განახლება თანამედროვე, მათ შორის, უცხო ენოვანი ლიტერატურით.

4. მიზანშეწონილია დაწესებულებამ/ფაკულტეტმა გააძლიეროს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი და მოცემული პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოს ან/და ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში;

5. აუცილებელია მეტი ყურადღება მიექცეს სტუდენტებში ცნობადობის ამაღლებას სამეცნიერო ბაზების, ინტელექტუალური საკუთრებისა და მისი დაცვის მექანიზმთა მიმართ, სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებას მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული თანამედროვე ფორმატის მიხედვით (იგულისხმება სამეცნიერო სიახლის, სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობების გამოკვეთა, მეცნიერული სტილის მკაცრი დაცვა და სხვა), სტუდენტთა ინფორმირებას პლაგიატისა და საუნივერსიტეტო რეგულაციების შესახებ პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში, ასევე მათ ცნობიერების ამაღლებას აკადემიური წერის სტანდარტებთან დაკავშირებით.

6. დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს შიდა მარეგულირებელი აქტები, რომლითაც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული უნივერსიტეტთან პერსონალის აფილირების, მათი დატვირთვის, საქმიანობის შეფასების, წახალისების ღონისძიებების უზრუნველყოფის წესები. ამასთან, აღნიშნული მარეგულირებელი აქტები ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაწესებულების ვებ-გვერდის მეშვეობით, სტუდენტების, პერსონალისა თუ სხვა დაინტერესებული პირების, მათ შორის, პროგრამის შემფასებლებისათვის.

7. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს კონკრეტული და მკაფიო მექანიზმები (შიდა მარეგულირებელი აქტებისა თუ სამოქმედო გეგმაში გაწერის გზით) პერსონალის პროფესიული განვითარებისა და შეფასების მიზნებისათვის;

8. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პერსონალის განვითარების მიზნებისათვის მათი მონაწილეობა უცხოელი სპეციალისტების მიერ განხორციელებულ ლექცია-სემინარებსა თუ ტრენინგებში, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, როგორც პროფესიაში ახალი ტენდენციების, ისე სწავლა-სწავლების მეთოდების გაცნობის უზრუნველსაყოფად.

9. მიზანშეწონილია დაწესებულებამ, სასწავლო კორპუსის შენობის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებთან ერთად, ასევე უზრუნველყოს პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, ასევე სასწავლო პროცესში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლების მიზნით, შესაბამისი რესურსების დანერგვა.

10. პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა უზრუნველყოს სრული და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის დაწესებულების ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების შესაძლებლობის თაობაზე.

11. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, უნდა უზრუნველყოს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების მარეგულირებელი შიდა აქტების შემუშავება, რათა მათ ერთგვაროვანი ხასიათი ჰქონდეს დაწესებულების მიერ განხორციელებული ყველა საგანმანათლებლო პროგრამისათვის სწავლების ყველა საფეხურზე;

12. მუდმივად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი დაწესებულებაში მოქმედი შიდა აქტების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სამართლებრივ ნორმებთან, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების პარალელურად;

13. პროცესები მეტად ფორმალიზებული და გაწერილი უნდა იყოს, მათი სავალდებულოდ შესრულების მიზნით.

14. დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტების ცნობიერების ამაღლება კვლევითი ნაშრომის შესასრულებლად აკადემიური წერის სტანდარტებისა და პლაგიატის თაობაზე;

15. დაწესებულებამ პერსონალის აკადემიური დატვირთვის გაანგარიშების კომპონენტში უნდა გაითვალისწინოს სტუდენტთა რაოდენობრივი კვოტა, რომელთა კვლევითი ნაშრომების სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა შეუძლია მასთან დასაქმებულ პერსონალს.

16. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს პროგრამის პერიოდული მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების მარეგულირებელი, სავალდებულო ერთიანი შიდა აქტი, რომელიც დეტალურად აღწერს შეფასების განხორციელების პროცესს;

17. აუცილებელია მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურის არსებობა შეფასების შედეგების შემდგომი გამოყენებისა პროგრამის განვითარების მიზნებისათვის;

18. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს მექანიზმი, რომელიც შეფასების პროცესში ჩართავს გამოსაკითხ კატეგორიაში შემავალ ყველა პირს;

19. უნივერსიტეტმა უზრუნველყოს დამსაქმებელთა უფრო ინტენსიური ჩართულობა პროგრამის პერიოდული მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამაში ცხადად არის მოცემული დაშვების წინაპირობები. ასევე მითითებულია დებულება მაგისტრატურის შესახებ, რომლის მე-6 მუხლში „მაგისტრატურაში ჩარიცხვა“ (აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს დადგენილება №01-05-04/133) დეტალურადაა გაწერილი მაგისტრანტობის კანდიდატთა მიერ საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების შემდგომ, უნივერსიტეტში ჩასაბარებელი შიდა გამოცდები და ამ გამოცდების შედეგების მინიმალური ზღვარი, რომელთა გადალახვის შემთხვევაში, კანდიდატი მოიპოვებს უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსს.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტების კატეგორიზაცია საკმაოდ მარტივადაა შედგენილი და გაწერილია სემესტრების მიხედვით. პროგრამაში 4 არჩევითი ბლოკია ჯამში 21 კრედიტი, თითოეული ბლოკიდან სტუდენტმა აუცილებლად უნდა აირჩიოს მხოლოდ 1 სასწავლო კურსი. წლების განმავლობაში სტუდენტებს არ შექმნია სირთულე პროგრამის საგნობრივი დატვირთვის აღქმაში. პროგრამების კოორდინატორი ჩართულია დამატებითი ინფორმაციის მიწოდებაში მოთხოვნის შემთხვევაში.

მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სასწავლო კურსები სრულადაა უზრუნველყოფილი სავალდებულო ლიტერატურით. საქართველოს მასშტაბით, ნავთობისა და გაზის მიმართულებით არსებული ყველა ქართულენოვანი ლიტერატურა შექმნილია მხოლოდ წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მიერ. აღნიშნულის ობიექტურ მიზეზად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში არცერთ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ მიმდინარეობს სწავლება ამ მიმართულებით. საქართველოში ფუნქციონირებად სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებიც კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში ახორციელებენ ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების სწავლებას, მათივე თხოვნით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი უსასყიდლოდ აწვდის სახელმძღვანელოებს/სალექციო კურსებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო ლიტერატურის გაძლიერებისა და განვითარების საჭიროება თავად სტუ-ს აქვს იდენტიფიცირებული თვითმეფასებაში, ოღონდ არა „ნაკლოვანების“ აღმოფხვრის, არამედ ლიტერატურაზე მუშაობის პროცესის უწყვეტობის მიზნით დამკვიდრებული ტრადიციის შენარჩუნებისათვის. გარდა ამისა, უცხოური ლიტერატურა გამოყენებულია ყველა სასწავლო კურსში. ლიტერატურა სრულად შეესაბამება სასწავლო კურსების სპეციფიკასა და მის შინაარსს.

რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, დაწესებულება მას იზიარებს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი გაძლიერების მიზნებისათვის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აქტიურად მონაწილეობს Erasmus+ და Tempus-ის პროგრამების ფარგლებში არსებულ სხვადასხვა ტიპის პროექტებში: სტუდენტთა და პროფესორთა გაცვლითი პროგრამები, სხვადასხვა სახის კვლევითი პროექტები და სხვ. უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიურ პერსონალის და სტუდენტების მონაწილეობას საერთაშორისო პროექტებში. ინფორმაცია Erasmus+ და Tempus-ის პროგრამების შესახებ საჯაროა და ხელმისაწვდომია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული მითითება არ უნდა იყოს რეკომენდაციის სტატუსის მატარებელი, რადგან უნივერსიტეტს, შეფასების პერიოდისთვის, მთელი სიმძლავრით ჰქონდა და აქვს ამ მიმართულებებით მუშაობა ჩატარებული, როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით. განსაკუთრებით, სამეცნიერო ბაზებზე წვდომის შესაძლებლობის არსებობის, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის თვალსაზრისით, უნივერსიტეტში არსებული ვითარება შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს კარგ პრაქტიკად ქართული უმაღლესი განათლების სივრცეში.

აღსანიშნავია ასევე დაწესებულების პოზიცია მე-7 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური პერსონალის აფილირების წესი. სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის დადგენილება № 531), საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქცია (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 14 მაისის დადგენილება № 253), რომლებიც ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებგვერდზე.

რაც შეეხება მე-11 რეკომენდაციას, უნივერსიტეტი სრულად ეთანხმება რეკომენდაციას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება (როგორც სასწავლო კორპუსის) იდენტიფიცირებულია პროგრამის თვითშეფასებაში. აქვე ვადასტურებთ, რომ არსებული მდგომარეობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას და სწავლის შედეგის მიღწევას. ვიზიტისას ექსპერტებს განემარტათ, რომ უახლოეს მომავალში იგეგმება იმ სასწავლო კორპუსის მთლიანად რეაბილიტაცია და განახლება, რისთვისაც დაწესებულების ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებების თაობაზე მუშაობა მიმდინარეობს ამჟამად. ასევე, პროგრამის დამსაქმებლის ხელშეწყობით, იგეგმება ლეობენის უნივერსიტეტის (ავსტრია) მიერსტუ-ს ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის, უახლესი საინფორმაციო-ტექნოლოგიური სასწავლო პროგრამების გადმოცემა, რომლის გამოყენების თაობაზე ასევე უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ტრენინგების ჩატარება ამავე უნივერსიტეტის მიერ.

პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა მე-2 სტანდარტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამა არის მარტივად შედგენილი და არ მოიცავს კონცენტრაციებს. თავისუფალი კომპონენტების აღნიშნულია ციფრებით და ასევე მოცემულია კრედიტებიც, რაც საკმაოდ მარტივი სქემაა.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოდგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომები არ არის მოცემული პროგრამიდან. შესაბამისად, გაუგებარია თუ როგრო უნდა მოხდეს მსჯელობა სამაგისტრო პროგრამაზე, როდესაც არ არის წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომები.

გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში გამოკითხულია მხოლოდ 6 რესპოდენტი. გარდა ამისა, აუცილებელია რომ ბიუჯეტი მიუთითებდეს ფინანსურ მდგრადობაზე.

საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააზუსტა, რომ თუ დაწესებულება ექსპერტთა რეკომენდაციის შესაბამისად ან განახლებს რესურსებს ემუქრება თუ არა სწავლის შედეგებზე გასვლას რაიმე საფრთხე.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ დააზუსტა თუ ვინ შეიძლება მოხვდეს აღნიშნულ პროგრამაზე.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ არსებული მდგომარეობით შესაძლოა მეტნაკლებად უზრუნველყოს სწავლის შედეგებზე გასვლა, თუმცა როგორც კურდამთავრებულები ასევე დამსაქმებლები ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავენ, რომ პროგრამა ნაკლებად იყენებს თანამედროვე ტენდენციებსა და უცხოენოვან ლიტერატურას. რეკომენდაციის შესაბამისად, აუცილებელია დაწესებულებამ განხორციელოს შესაბამისი ცვლილებების სტუდენტების ინტერესების დაკმაყოფილებისა და პროგრამის განვითარების მიზნებისთვის.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სამაგისტრო ნაშრომები შეცდომკთ არის წარდგენილი საბჭოსთვის, რადგანაც დაწესებულებას გაგზავნილი ჰქონდა პროგრამის 7 სამაგისტრო ნაშრომი. თუმცა, პროგრამის ნაშრომები არ იქნა მიწოდებული საბჭოს წევრებსთვის.

რაც შეეხება სტუდენტთა მიღებას, სტუდენტები პროგრამაზე ერიცხებიან ეროვნული გამოცდების საფუძველზე, ხოლო შემდგომ დაწესებულებაში მათ ასევე უტარდებათ მისაღები გამოცდები.

### **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 22:15**

**დასრულების დრო: 23:02**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნავთობის და გაზის ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

**საბჭოს გადაწყვეტილებით კომპონენტების შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან განისაზღვრა შემდეგნაირად:**

საბჭომ, სამაგისტრო ნაშრომების ცნობისა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო დოკუმენტაციის სრულყოფილად შესწავლის შედეგად გადაწყვიტა, რომ 1.2 2.4, 4.4 კომპონენტების შეფასება ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. ხოლო 2.3, 3.1, 4.1 4.2 კომპონენტები და მე-3 სრანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისია მოთხოვნებთან“.

**აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბ და შემდეგი რედაქტირებით:**

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან
2. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა აკადემიური წერის და კვლევითი უნარების სტანდარტების შესახებ სასწავლო კომპონენტი გაითვალისწინოს სავალდებულო კომპონენტთა შორის, რათა სტუდენტებს მისცეს სამაგისტრო ნაშრომის კვალიფიციურ დონეზე შესრულების ცოდნა და უნარები.
3. რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებული იქნას თანამედროვე და მათ შორის ინგლისურენოვანი ლიტერატურა.
4. აუცილებელია მეტი ყურადღება მიექცეს სტუდენტებში ცნობადობის ამაღლებას სამეცნიერო ბაზების, ინტელექტუალური საკუთრებისა და მისი დაცვის მექანიზმთა მიმართ, სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებას მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული თანამედროვე ფორმატის მიხედვით (იგულისხმება სამეცნიერო სიახლის, სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობების გამოკვეთა, მეცნიერული სტილის მკაცრი დაცვა და სხვა), სტუდენტთა ინფორმირებას პლაგიატისა და საუნივერსიტეტო რეგულაციების შესახებ პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში, ასევე მათ ცნობიერების ამაღლებას აკადემიური წერის სტანდარტებთან დაკავშირებით.
5. დაწესებულებამ პერსონალის აკადემიური დატვირთვის გაანგარიშების კომპონენტში უნდა გაითვალისწინოს სტუდენტთა რაოდენობრივი კვოტა, რომელთა კვლევითი ნაშრომების სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა შეუძლია მასთან დასაქმებულ პერსონალს
6. რეკომენდირებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, ასევე სასწავლო პროცესში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლების მიზნით, შესაბამისი რესურსების დანერგვა.
7. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.
8. რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა შეიმუშაოს მექანიზმი, რომელიც შეფასების პროცესში ჩართავს გამოსაკითხ კატეგორიაში შემავალ ყველა დაინტერესებულ მხარეს.

**რჩევები:**

- 1.სასურველია მაგისტრანტისათვის საჭირო საკურსო პროექტირების პრაქტიკული უნარის გამოსამუშავებლად სასემინარო საათები შეიცვალოს საკურსო სამუშაო/პროექტით ან პრაქტიკული მეცადინეობით.
- 2.სასწავლო კურსი „საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე“ ყოფილიყო წინაპირობა სასწავლო კურსისა „დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა“.
- 3.სასურველია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში უფრო კონრეტულად და მკაფიოდ განისაზღვროს პროგრამაზე ჩარიცხვისათვის მაგისტრანტობის კანდიდატთა მიერ საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების შემდგომ, უნივერსიტეტში ჩასაბარებელი შიდა გამოცდები და ამ გამოცდების შედეგების მინიმალური ზღვარი, რომელთა გადალახვის შემთხვევაში, კანდიდატი მოიპოვებს უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსს.
- 4.სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს სასწავლო მასალების განახლება თანამედროვე, მათ შორის, უცხო ენოვანი ლიტერატურით.
- 5.მიზანშეწონილია, რომ დაწესებულებასა და დამსაქმებელ ორგანიზაციებს შორის განხორციელდეს უფრო ინტენსიური კომუნიკაცია და შეთანხმების მიღწევა, რათა კველევითი კომპონენტის შესრულების მიზნებისათვის, სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა ორგანიზაციებში დაცული მასალების გამოყენებისა. მაგალითად, მემორანდუმებში თანამშრომლობის ამ კომპონენტის უფრო მეტად დაკონკრეტება, ზუსტ პირობებზე შეთანხმება, თუ რა ტიპის ინფორმაციაზე მისცემენ დაშვებას სტუდენტებს და ა.შ.
- 6.მიზანშეწონილია დაწესებულებამ/ფაკულტეტმა გააძლიეროს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი და მოცემული პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოს ან/და ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში;
- 7.საჭიროა დეტალურად გაიწეროს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში სამაგისტრო თემის ხელმძღვანელთან ურთიერთობის (მაგალითად კონსულტაციები) პროცედურები, დაზუსტდეს მაგისტრანტის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები, დადგინდეს ერთ ხელმძღვანელზე მაგისტრანტების რიცხვი.
- 8.დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პერსონალის განვითარების მიზნებისათვის მათი მონაწილეობა უცხოელი სპეციალისტების მიერ განხორციელებულ ლექცია-სემინარებსა თუ ტრენინგებში, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, როგორც პროფესიაში ახალი ტენდენციების, ისე სწავლა-სწავლების მეთოდების გაცნობის უზრუნველსაყოფად.
- 9.დაწესებულებამ მეტად უნდა უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ხელშეწყობა, რათა მათ შეძლონ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში უფრო აქტიური მონაწილეობა, ასევე გარდა დაწესებულების სამეცნიერო ჟურნალისა, სხვა საერთაშორისო ინდექსაციის მქონე, მათ შორის, უცხოენოვან ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნება.
- 10.პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა უზრუნველყოს სრული და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის დაწესებულების ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების შესაძლებლობის თაობაზე.
- 11.მიზანშეწონილია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ელექტრონული სერვისების განვითარება, როგორც სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის, ასევე დაწესებულებისა თუ ფაკულტეტის ადმინისტრაციის სამუშაო პროცესის მენეჯმენტის უზრუნველყოფის მიზნით;
- 12.უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტუდენტების მეტი ინფორმირება უნივერსიტეტში მოქმედი შიდა რეგულაციების შესახებ.
- 13.მიზანშეწონილია, სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით, შესაბამისმა პასუხისმგებელმასტრუქტურულმა ერთეულმა განახორციელოს დაწესებულების მიერ შემუშავებული შიდა მარეგულირებელი აქტების კოდიფიცირება, მასში ცვლილებების
- 14.განხორციელების შემთხვევაში, რათა დაინტერესებულ პირებს ერთიან აქტში ჰქონდეთ მოქმედი მარეგულირებელი ნორმების გაცნობის შესაძლებლობა;



15 მიზანშეწონილია, უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული იყოს უნივერსიტეტში მოქმედი ყველა შიდა რეგულაციის საბოლოო, მოქმედი რედაქცია.

16. პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის, მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა, გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო გარე შეფასების პროცედურებისა, განახორციელოს პროგრამის გარე შეფასება ისეთი პროცედურების მეშვეობით, როგორც არის განმავითარებელი შეფასება, მოწვეული ექსპერტების მიერ პროგრამების შეფასება და დასახოს სამოქმედო გეგმა მიღებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებითსათვის.

17. სასურველია, პროგრამის განვითარების მიზნებისათვის, გაზიარებულ იქნეს დამსაქმებელთა მზადყოფნა, რომ დაინტერესების შემთხვევაში, დამსაქმებლები სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის მოაწიებენ შეხვედრებს, მსჯელობებს, საჯარო ლექციებს დასაქმების ბაზარზე განხორციელებული ცვლილებების, განახლებული მოთხოვნების, სწავლის სფეროს შესაბამისი ახალი ტენდენციების, სამუშაო მეთოდებისა და თანამედროვე მიდგომების გაცნობის მიზნით.

**გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-31 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 31 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნავთობის და გაზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**8. მერვე საკითხი:** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ნავთობის და გაზის ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, გადაწყვეტილება N512, 28.09.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	

		ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0724 სამთო საქმე და მოპოვება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50
14	განხორციელების ადგილი	მერაბ კოსტავას ქუჩა N72 თბილისი, მესამე სასწავლო კორპუსი, 0160 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 20 მაისის N MES 8 21 0000465159 ბრძანებით 2021 წლის 2-3 ივნისს განხორციელდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის საექსპერტო შეფასება. პროგრამის შეფასება ქვეყანაში არსებული COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებით, განხორციელდა ნაწილობრივ დისტანციურად. კერძოდ, 2 ივნისს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა, სტუ-ში ვიზიტის ფარგლებში, დაათვალიერეს დაწესებულების მატერიალური რესურსი (სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ასევე ცენტრალური და ფაკულტეტის ბიბლიოთეკა. 2 და 3 ივნისს შეფასება კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, კერძოდ, ონლაინ პლატფორმა - zoom-ის გამოყენებით განხორციელდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი წინასწარ გაეცნო სააკრედიტაციო მასალას, ხოლო დაწესებულებაში შეფასების მიმდინარეობის დროს, ექსპერტები შეხვდნენ პროგრამაში ჩართულ მხარეებს.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ნავთობის და გაზის ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

**პირველსტანდარტი** – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეორესტანდარტი** – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მესამესტანდარტი** – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეოთხესტანდარტი** – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეხუთესტანდარტი** – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**

1. მიზანშეწონილია დაწესებულებამ/ფაკულტეტმა გააძლიეროს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი და მოცემული პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოს ან/და ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში.

2. აუცილებელია, მეტი ყურადღება მიექცეს სტუდენტებში ცნობადობის ამაღლებას სამეცნიერო ბაზების, ინტელექტუალური საკუთრებისა და მისი დაცვის მექანიზმთა მიმართ, სადისერტაციო ნაშრომების გაფორმებას მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული თანამედროვე ფორმატის მიხედვით (იგულისხმება სამეცნიერო სიახლის, სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობების გამოკვეთა, მეცნიერული სტილის მკაცრი დაცვა და სხვა), სტუდენტთა ინფორმირებას პლაგიატისა და საუნივერსიტეტო რეგულაციების შესახებ პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში.

3. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს კონკრეტული და მკაფიო მექანიზმები (შიდა მარეგულირებელი აქტებისა თუ სამოქმედო გეგმაში გაწერის გზით) პერსონალის პროფესიული განვითარებისა და შეფასების მიზნებისათვის;

4. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პერსონალის განვითარების მიზნებისათვის მათი მონაწილეობა უცხოელი სპეციალისტების მიერ განხორციელებულ ლექცია-სემინარებსა თუ ტრენინგებში, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, როგორც პროფესიაში ახალი ტენდენციების, ისე სწავლა-სწავლების მეთოდების გაცნობის უზრუნველსაყოფად.

5. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების მარეგულირებელი შიდა აქტების შემუშავება, რათა მათ ერთგვაროვანი ხასიათი ჰქონდეს დაწესებულების მიერ განხორციელებული ყველა საგანმანათლებლო პროგრამისათვის სწავლების ყველა საფეხურზე;

6. მუდმივად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი დაწესებულებაში მოქმედი შიდა აქტების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სამართლებრივ ნორმებთან, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების პარალელურად;

7. პროცესები მეტად ფორმალიზებული და გაწერილი უნდა იყოს, მათი სავალდებულოდ შესრულების მიზნით.

8. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს პროგრამის პერიოდული მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების მარეგულირებელი, სავალდებულო ერთიანი შიდა აქტი, რომელიც დეტალურად აღწერს შეფასების განხორციელების პროცესს;

9. აუცილებელია მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურის არსებობა შეფასების შედეგების შემდგომი გამოყენებისა პროგრამის განვითარების მიზნებისათვის;

10. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს მექანიზმი, რომელიც შეფასების პროცესში ჩართავს გამოსაკითხ კატეგორიაში შემავალ ყველა პირს;

11. უნივერსიტეტმა უზრუნველყოს დამსაქმებელთა უფრო ინტენსიური ჩართულობა პროგრამის პერიოდული მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.

## **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აქტიურად მონაწილეობს Erasmus+ და Tempus-ის პროგრამების ფარგლებში არსებულ სხვადასხვა ტიპის პროექტებში: სტუდენტთა და პროფესორთა გაცვლითი პროგრამები, სხვადასხვა სახის კვლევითი პროექტები და სხვ. უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიურ პერსონალის და სტუდენტების მონაწილეობას საერთაშორისო პროექტებში. ინფორმაცია Erasmus+ და Tempus-ის პროგრამების შესახებ საჯაროა და ხელმისაწვდომია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, აღნიშნული მითითება არ უნდა იყოს რეკომენდაციის სტატუსის მატარებელი, რადგან უნივერსიტეტს, შეფასების პერიოდისთვის, მთელი სიმძლავრით ჰქონდა და აქვს ამ მიმართულებებით მუშაობა ჩატარებული, როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით. განსაკუთრებით, სამეცნიერო ბაზებზე წვდომის შესაძლებლობის არსებობის, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის თვალსაზრისით, უნივერსიტეტში არსებული ვითარება შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს კარგ პრაქტიკად ქართული უმაღლესი განათლების სივრცეში.

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური პერსონალის აფილირების წესი, სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის დადგენილება № 531), საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქცია (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 14 მაისის დადგენილება № 253), რომლებიც ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებგვერდზე.

## **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ აუცილებელია სწავლის შედეგები შესაბამისად იქნეს ასახული რუბრიკაში.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ აღნიშნა, რომ სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების გარეშე შეუძლებელი იქნება პროგრამებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება. საბჭოს წევრა ასევე აღნიშნა, რომ ნაშრომების ნახვის გარეშე არ მიიღებდა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს და დააზუსტა იყო თუ არა შესაძლებლობა საბჭოს განეხილა სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომები.

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო სადოქტორო პროგრამა დღეს განხილულიყო რადგან შემდგომ სტუდენტებს შეუწყდებოდათ აქტიური სტატუსი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭო გაეცნობა ნაშრომებს და შემდგომ მიიღებს გადაწყვეტილებას.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს სადოქტორო ნაშრომის დაცვის პირობების განმარტებისკენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ნაშრომის დაცვაზე გასვა შეუძლია პირს, რომელსაც სასწავლო კომპონენტი და წინარე კომპონენტები სრულად აქვს გავლილი და ასევე წინარე დაცვაც აქვს განხორციელებული. გარდა ამისა სავალდებულოა, რომ დოქტორანტს გამოქვეყნებული ჰქონდეს სამი ნაშრომი, აქედან ერთი ინდივიდუალური, ერთი კი საზღვრაგარეთ.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება  
დაწყების დრო: 23:12**

## დასრულების დრო: 23:56

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ნავთობის და გაზის ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, ერთ წელში ანგარიშის წარდგენით.

### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

### **საბჭოგაეცნო სადოქტორო ნაშრომებს და კომპონენტების შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან განისაზღვრა შემდეგნაირად:**

სბჭომ, სადოქტორო ნაშრომების ცნობისა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო დოკუმენტაციის სრულყოფილად შესწავლის შედეგად გადაწყვიტა, რომ 1.2 2.4, 4.4 კომპონენტების და მე-4 სტანდარტის შეფასება ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

### **აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბ და შემდეგი რედაქტირებით:**

- 1.სწავლის შედეგების შეფასების რუბრიკა შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგებთან და აისახოს შესაბამის სილაბუსებში.
- 2.რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან
- 3.რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობად, განისაზღვროს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ( Scopus/Web of Science ) ინდექსირებულ ჟურნალში სტატიის/პუბლიკაციის გამოქვეყნება.
- 4.რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომების შესრულების დროს გამოყენებულ იქნას უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურა
- 5.მიზანშეწონილია დაწესებულებამ/ფაკულტეტმა გაამდიეროს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი და მოცემული პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოს ან/და ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში.
- 6.აუცილებელია მეტი ყურადღება მიექცეს სტუდენტებში ცნობადობის ამაღლებას სამეცნიერო ბაზების, ინტელექტუალური საკუთრებისა და მისი დაცვის მექანიზმთა მიმართ, სადისერტაციო ნაშრომების გაფორმებას მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული თანამედროვე ფორმატის მიხედვით (იგულისხმება სამეცნიერო სიახლის, სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობების გამოკვეთა, მეცნიერული სტილის მკაცრი დაცვა და სხვა), სტუდენტთა ინფორმირებას პლაგიატისა და საუნივერსიტეტო რეგულაციების შესახებ პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში.
7. რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ დოქტორანტების მიერ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, ავტორიტეტული წყაროების ინტეგრირება.
- 8.უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს კონკრეტული და მკაფიო მექანიზმები (შიდა მარეგულირებელი აქტებისა თუ სამოქმედო გეგმაში გაწერის გზით) პერსონალის პროფესიული განვითარებისა და შეფასების მიზნებისათვის;
9. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პერსონალის განვითარების მიზნებისათვის მათი მონაწილეობა უცხოელი სპეციალისტების მიერ განხორციელებულ ლექცია-სემინარებსა თუ ტრენინგებში, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, როგორც პროფესიაში ახალი ტენდენციების, ისე სწავლა-სწავლების მეთოდების გაცნობის უზრუნველსაყოფად.
10. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.

11. რეკომენდირებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად
12. აუცილებელია მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურის არსებობა შეფასების შედეგების შემდგომი გამოყენებისა პროგრამის განვითარების მიზნებისათვის;
13. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს მექანიზმი, რომელიც შეფასების პროცესში ჩართავს გამოსაკითხ კატეგორიაში შემავალ ყველა დაინტერესებულ მხარეს.

#### **რჩევები:**

1. ფაკულტეტზე სადოქტორო ნაშრომების შესრულებისას გამოყენებული ლიტერატურის მითითებისა და მოყვანის წესი ერთნაირი უნდა იყოს;
2. სასურველია, დეტალურად გაიწეროს დისერტაციაზე მუშაობის პროცესში თემის ხელმძღვანელთან ურთიერთობის პროცედურები.
3. დაწესებულებამ მეტად უნდა უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ხელშეწყობა, რათა მათ შეძლონ საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში უფრო აქტიური მონაწილეობა, ასევე გარდა დაწესებულების სამეცნიერო ჟურნალისა, სხვა საერთაშორისო ინდექსაციის მქონე ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნება.
4. მიზანშეწონილია დაწესებულებამ, სასწავლო კორპუსის შენობის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებთან ერთად, ასევე უზრუნველყოს პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, ასევე სასწავლო პროცესში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლების მიზნით, შესაბამისი რესურსების დანერგვა.
5. მიზანშეწონილია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ელექტრონული სერვისების განვითარება, როგორც სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის, ასევე დაწესებულებისა თუ ფაკულტეტის ადმინისტრაციის სამუშაო პროცესის მენეჯმენტის უზრუნველყოფის მიზნით;
6. უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტუდენტების მეტი ინფორმირება უნივერსიტეტში მოქმედი შიდა რეგულაციების შესახებ.
7. მიზანშეწონილია, სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით, შესაბამისმა პასუხისმგებელმა სტრუქტურულმა ერთეულმა განახორციელოს დაწესებულების მიერ შემუშავებული შიდა მარეგულირებელი აქტების კოდიფიცირება, მასში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, რათა დაინტერესებულ პირებს ერთიან აქტში ჰქონდეთ მოქმედი მარეგულირებელი ნორმების გაცნობის შესაძლებლობა;
8. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული იყოს უნივერსიტეტში მოქმედი ყველა შიდა რეგულაციის საბოლოო, მოქმედი რედაქცია.
9. პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის, მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა, გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო გარე შეფასების პროცედურებისა, განახორციელოს პროგრამის გარე შეფასება ისეთი პროცედურების მეშვეობით, როგორც არის განმავითარებელი შეფასება, მოწვეული ექსპერტების მიერ პროგრამების შეფასება და დასახოს სამოქმედო გეგმა მიღებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებითსათვის.
10. სასურველია, პროგრამის განვითარების მიზნებისათვის, გაზიარებულ იქნეს დამსაქმებელთა მზადყოფნა, რომ დაინტერესების შემთხვევაში, დამსაქმებლები სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის მოაწყოებენ შეხვედრებს, მსჯელობებს, საჯარო ლექციებს დასაქმების ბაზარზე განხორციელებული ცვლილებების, განახლებული მოთხოვნების, სწავლის სფეროს შესაბამისი ახალი ტენდენციების, სამუშაო მეთოდებისა და თანამედროვე მიდგომების გაცნობის მიზნით.

#### **გადაწყვეტილება:**

„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-31 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 31 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნავთობის და გაზის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
საბჭო  
თავმჯდომარე  
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
საბჭო  
საბჭოს მდივანი  
შენგელია მარიამ

